



**EECMD**

აღმოსავლეთ ევროპის  
ცენტრი მრავალპარტიული  
დემოკრატიისათვის.



ლია  
საზოგადოებრივი  
ფონდი



Kingdom of the Netherlands

# წინასაარჩევნო პროგრამების მიმოხილვა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

შედარებითი ანალიზი

ბაკურ კვაშილავა

ავტორი: ბაკურ კვაშილავა  
ტექსტის რედაქტორი: ნანა კობაიძე  
დიზაინი: ნატალია ლლონტი, ნატა ყიფიანი

პუბლიკაცია მომზადდა აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის (EECMD) დაკვეთით, პროექტების - **„დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის მხარდაჭერა და გაძლიერება წინასაარჩევნო პერიოდში“** და **„დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში - ფარგლებში.**

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და მასში წარმოდგენილი მოსაზრებები არ გამოხატავს EECMD-ის, ღია საზოგადოების ფონდისა და საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას.

**„დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის მხარდაჭერა და გაძლიერება წინასაარჩევნო პერიოდში“** ღია საზოგადოების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტია და მიზნად ისახავს წინასაარჩევნოდ პოზიტიური პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნას, საქართველოში სამოქალაქო ჩართულობისა და საზოგადოებრივი დისკუსიის გაძლიერებას.

პროექტი - **„დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“** მიზნად ისახავს დემოკრატიული კულტურის გაძლიერებასა და არჩეული თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების გაღრმავებას მოქალაქეთა ჩართულობისა და შესაძლებლობების განვითარების გზით. პროექტი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

**4** შესავალი

**5** მეთოდოლოგიური ჩარჩო და ანალიტიკური მიდგომები

**6** პროგრამული კლასიფიკაციის განხილვა

**7** ეკონომიკის ბლოკი

**10** სოციალური საკითხები, ჯანდაცვა და განათლება

**13** პოლიტიკის ბლოკი

**14** საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება

**15** უფლებები

**15** სხვა პარტიები

**18** შეჯამება

**21** დანართი 1: პოლიტიკური პარტიების მოკლე ანალიტიკური პროფილი

**30** დანართი 2: კითხვარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

**31** COVID 19-ის პანდემიის შედეგებთან გამკლავება: ეკონომიკა და საზოგადოება

## შესავალი

აღნიშნული დოკუმენტის მთავარი მიზანი იმ პარტიების პროგრამული მსოფლმხედველობის შედარებითი ანალიზია, რომელთაც EECMD-ს უკვე ტრადიციულ ქვეულ პროექტში - [partiebi.ge](http://partiebi.ge) მიიღეს მონაწილეობა. ამ ინიციატივის ფარგლებში პოლიტიკურ პარტიებს არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ეგზავნებათ კითხვარი, სადაც ისინი აყალიბებენ ქვეყანაში არსებულ მთავარ გამოწვევებზე კონკრეტულ ხედვასა და მიდგომებს. იმის მიუხედავად, რომ არჩევნებში მონაწილე სუბიექტები პროგრამულ შეხედულებებს ბეჭდურად თუ ელექტრონულად ამის გარეშე აქვეყნებენ, ეს პროექტი იძლევა მათი უკეთესი ფორმით შედარების შესაძლებლობას. სწორედ ესაა მისი უპირატესობა. ვებ-პლატფორმის საშუალებით პოლიტიკურ კონკურენტებს ერთსა და იმავე შეკითხვებზე უწევთ პასუხი და შესაბამისად, განსხვავებული პოზიციებისა თუ მიდგომების იდენტიფიცირებაც უფრო იოლია.

მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვები მიმდინარე გამოწვევებს ასახავს, მათი ძირითადი ნაწილი უცვლელია და შესაძლებელს ხდის, თვალის ვადევნოთ კონკრეტული პოლიტიკური ორგანიზაციის იდეოლოგიურ მდგრადობას ან მათ ტრანსფორმაციას არჩევნებიდან არჩევნებამდე. შექმნიდან დღემდე განუხრელად იზრდებოდა ამ პროექტში მონაწილე ორგანიზაციათა რაოდენობა. სასიხარულოა, რომ 2020 წელს ნიშნულმა მაქსიმუმს მიაღწია - 12-მა პოლიტიკურმა პარტიამ 35 შეკითხვას უპასუხა. ტრადიციულად, მონაწილეობა მიიღო ყველა მაღალრეიტინგულმა პარტიამაც. [Partiebi.ge](http://Partiebi.ge)-ს სპეციფიკიდან გამომდინარე, შეკითხვები მოიცავდა პოლიტიკის, ეკონომიკის, ადამიანის უფლებების, სოციალური კეთილდღეობის, საგარეო პოლიტიკისა და სხვა მიმდინარე საკითხებს. ეს უკანასკნელი, გასაგები მიზეზების გამო, კოვიდ-19 პანდემიას და აქედან გამომდინარე, იმ უპრეცედენტო გამოწვევას შეეხებოდა, რომელმაც მკვეთრად უარყოფითი გავლენა იქონია ჯანდაცვის, ეკონომიკისა და სოციალურ სფეროებზე.

საარჩევნო პროგრამების ხარისხი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქვეყნის პოლიტიკური კულტურის განვითარებაზე: რაც უფრო მეტ მნიშვნელოვან პარტიას აქვს თანმიმდევრული, მწყობრი და კარგად ჩამოყალიბებული ხედვა, რომელსაც ამომრჩეველს სთავაზობს, პოლიტიკური განვითარების დონე მით უფრო მაღალია. ეს არ გულისხმობს, რომ პოლიტიკური პროგრამა პოლიტიკური კულტურის ერთადერთი განმსაზღვრელია. პოლიტიკური განვითარების დონის შესაფასებლად არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა ინდიკატორებიც: პოლიტიკური ჩართულობა, საზოგადოებრივი დისკუსიის შინაარსი, პოლიტიკური ბრძოლის წესები, სახელმწიფოს მართვის სტილი და პარტიული ორგანიზაცია. კარგად ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამები მიუთითებს, რომ მმართველობისთვის მებრძოლი ჯგუფები აცნობიერებენ - მოქალაქეები მათგან ითხოვენ ქვეყნის შემდგომი განვითარების თანმიმდევრულ, გააზრებულ და კომპეტენტურ ხედვას. ეს საყურადღებოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკური არჩევანი სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორებსაც ეყრდნობა: კონკრეტული პოლიტიკური გუნდის ან პიროვნების მიმართ ნდობა და ამ უკანასკნელის შესაძლებლობებისადმი რწმენა, პროგრამის ხარისხის მიუხედავად, დიდ როლს თამაშობს საარჩევნო ყუთთან მისული მოქალაქის გადაწყვეტილებაში.

პროგრამული შეთავაზების გარდა, დაბალი შემოსავლებისა და მწირი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორც საქართველო, ხშირად გადამწყვეტია კლიენტელისტური გარიგებებიც. ჩვენ ვიზიარებთ პოლიტიკის მკვლევრებისა და პრაქტიკოსების უმრავლესობის აზრს, რომლის თანახმადაც, მსგავს მოტივაციაზე დაფუძნებული არჩევანი ხელს ვერ შეუწყობს საერთო მიზნებზე და ღირებულებებზე დამყარებული და, შესაბამისად, ოპტიმალური პოლიტიკის შექმნას. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი, დავინახოთ, რა ძალისხმევად უჯდებათ მთავარ პოლიტიკურ მოთამაშეებს გამართული, თანმიმდევრული და კომპეტენტური პოლიტიკური პროგრამის შექმნა, ვინაიდან ეს ნათლად მიუთითებს ამომრჩევლის მოთხოვნაზე - ვინრო, მერკანტილური შეთავაზებების ნაცვლად მიიღოს კომპეტენტური პასუხი საერთო საქვეყნო გამოწვევებთან დაკავშირებით.

## მეთოდოლოგიური ჩარჩო და ანალიტიკური მიდგომა

მეთოდოლოგიურად უფრო დამატებული შედარებითი ანალიზისთვის გადავწყვიტეთ, ძირითადად სწორედ partiebi.ge-ზე არსებული ინფორმაცია გამოგვეყენებინა. შესაბამისად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში დარეგისტრირებული 50 სუბიექტის ნაცვლად 12 პარტიის ხედვა გაანალიზდა<sup>1</sup>. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მინიჭებული ნომრის რიგითობის მიხედვით.

### ეს პარტიებია:

- ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის #2
- ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა #3
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (ენმ) #5
- ლეიბორისტული პარტია #10
- თავისუფალი საქართველო #21
- ალექო ელისაშვილი - მოქალაქეები #24
- სამართლიანობისთვის #26
- სტრატეგია აღმაშენებელი #27
- გირჩი #36
- ქართული ოცნება #41
- რეფორმატორები #42
- ლელო საქართველოსთვის #56

ამ პარტიების და მათი ლიდერების უმეტესობას კარგად იცნობენ საქართველოს პოლიტიკის მკვლევარებიც და ფართო საზოგადოებაც. თუმცა, მიმდინარე წელს ზოგიერთი ახლადშექმნილი ორგანიზაციისთვის პირველი საპარლამენტო არჩევნებია. მათი ცნობადობის დონის მიუხედავად, საჭიროდ მივიჩინეთ, მოგვეზადებინა თითოეულ მათგანზე **მოკლე ანალიტიკური პროფილი (იხ. დანართი 1)**, რომელიც თან ერთვის ამ დოკუმენტს. ეს ინფორმაცია გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს კონკრეტული პარტიის მიერ განვლილ გზაზე - როგორც ორგანიზაციული, ასევე, პროგრამული თვალსაზრისით. მით უფრო, რომ მეტწილად 2020 წლისთვის წარმოდგენილი პროგრამული შეხედულებების ანალიზით შემოვიფარგლებით.

მკაფიო სურათის საჩვენებლად 5 თემატურ ჯგუფში 35 შეკითხვა გავაერთიანეთ: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ჯანდაცვის, ინდივიდისა და ჯგუფების უფლებები, საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შესაძლოა, ზუსტად არ ასახავდა თემატური ბლოკის შინაარსს ან ერთდროულად რამდენიმე საკითხს მოიცავდა, გადავწყვიტეთ, ამოცანიდან გამომდინარე, მსგავსი კომპრომისი დაგვეშვა. შეკითხვები იმ თანმიმდევრობით, როგორც პარტიებს დაეგზავნათ, დოკუმენტს დანართის სახით ერთვის (**იხ. დანართი 2**). თითოეულს მითითებული აქვს დამატებით შესაბამისი თემატური ბლოკის დასახელება.

<sup>1</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო). არჩევნები 2020. საარჩევნო სუბიექტები. <https://rb.gy/gkmo8>

თითოეული შინაარსობრივი ბლოკის ფარგლებში გავანალიზებთ პოლიტიკური პარტიების პოზიციებს 3 კრიტერიუმის გათვალისწინებით: პოლიტიკური კურსი, კომპეტენცია და დასახული მიზნის მისაღწევი კონკრეტული მექანიზმები.

**პოლიტიკური კურსი** საშუალებას იძლევა, შევადგინოთ პარტიის იდეოლოგიური პრინციპები და საგარეო პოლიტიკური კურსი. [partiebi.ge](http://partiebi.ge)-ზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, შევადგინებთ კონკრეტული პარტიის ხედვას სახელმწიფოს როლსა და ფუნქციებთან დაკავშირებით; მის პოზიციონირებას და დიაპაზონს ლიბერალურ და ტრადიციულ-კონსერვატიულ ღირებულებათა შორის. ასევე, პარტიის სულისკვეთებას არსებულ სტატუს-კვოსთან მიმართებაში, რა დროსაც შევისწავლით რადიკალურ, ლიბერალურ, კონსერვატიულ და რევანშისტულ ტენდენციებს. საგარეო პოლიტიკის შემთხვევაში ეს კრიტერიუმი საგარეო ვექტორისა და ღია/იზოლაციონისტური მიდგომებით განისაზღვრება.

**კომპეტენციის** დადგენას თემატური მიმართულების საკითხთა ანალიზის ხარისხითა და დაფარვის დონით შევეცდებით. საკითხის დეტალურ ცოდნასთან ერთად, აქ მთლიანი სურათის ადეკვატურად წარმოჩენაც მნიშვნელოვანია.

მესამე კრიტერიუმი - **სამოქმედო გეგმა** შეაფასებს, რამდენად დამაჯერებლად აყალიბებს პოლიტიკური პარტია კონკრეტულ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს განხილული პრობლემის მოგვარებას და/ან დასახული მიზნის მიღწევას.

მართალია, ეს კრიტერიუმები ამ პროგრამული ანალიზის მთავარი ნაწილია, თუმცა თითოეული თემატური ჯგუფის განხილვისას რაოდენობრივი შეფასების ზოგიერთ ასპექტსაც გამოვიყენებთ. შევეცდებით, დავადგინოთ, რა დრო დაუთმოთ თითოეულმა პარტიამ ამა თუ იმ საკითხის განხილვას, რასაც გამოყენებული სიტყვებისა და პასუხგაუცემელი კითხვების რაოდენობით შევადგინებთ. შინაარსობრივი ანალიზის მეთოდის გამოყენებით კი დავაკვირდებით, რომელი პარტია რა საკითხზე, ამოცანასა თუ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას.

დასკვნით ნაწილში შევაჯამებთ იმ მიგნებებს, რომელიც პროგრამული ხედვის თითოეული თემის განხილვისას ჩამოყალიბდა. მოკლედ შევადგინებთ თითოეული პარტიის საერთო პროგრამულ ხედვას, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის თანხვედრას და საერთო სულისკვეთებას, რაც ამ პოლიტიკური გუნდის მიერ დასმულ აქცენტებში გამოიკვეთა. შევეცდებით, დავასაბუთოთ, რომელი პოლიტიკური ორგანიზაციები რა საკითხებში უახლოვდებიან ერთმანეთს მიდგომებით და იდეურად. აქვე დავადგინებთ, რა საკითხებში მიაღწია პოლიტიკურმა საზოგადოებამ კონსენსუსს და პირიქით - რა ინვესს აზრთა სხვადასხვაობას.

## პროგრამული კლატორების განხილვა

თემატური ჯგუფების განხილვისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრაგმატული მოსაზრებით ვიხელმძღვანელებთ და გარკვეული კომპრომისები მოგვინია. რიგი შეკითხვები, მაგ., იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ (**იხ. დანართი 2**), მოიცავს როგორც უფლებრივ, ასევე, სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს და მისი პოლიტიკური მნიშვნელობაც ნათელია. ამ ფონზე, ამ და მსგავსი შეკითხვების ერთ კონკრეტულ კალათაში მოთავსება, გარკვეულწილად, ამარტივებს რეალურ სურათს, მაგრამ მოდელის შექმნისას ანალოგიური ქმედება დასაშვებია. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე არ გამოვყავით კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებული 8 შეკითხვა, რითაც იწყება კიდევ პარტიებისთვის გაგზავნილი თავდაპირველი კითხვარი. მიზეზი: შეკითხვების სპეციფიკური შინაარსის მიუხედავად, პასუხები მეტწილად სცდებოდა ამ თემას და ზოგად 4-წლიან პროგრამულ დისკუსიაში გადადიოდა. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, სექციაში არსებული კითხვები შესაბამისი თემატიკით გადავანაწილებთ.



## ეკონომიკის ბლოკი

ეს ნაწილი, ჯანდაცვა/სოციალური უზრუნველყოფისა და საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების სეგმენტების მსგავსად, ყველაზე მოცულობითია და 8 შეკითხვას მოიცავს. ისინი სფეროს ყველა ძირითად პრობლემურ საკითხს შეეხება: ეკონომიკის ზრდას, უცხოურ ინვესტიციებს, ტურიზმს, სოფლის მეურნეობას და ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების კონკრეტულ მაჩვენებლებს. აქვე შევიტანეთ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული შეკითხვაც, რადგან ხშირად ეკონომიკური განვითარება ეკოლოგიურ გამოწვევებს განაპირობებს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს სტატისტიკურ ინფორმაციას პარტიების მიხედვით, სადაც ასახულია, რამდენად მოცულობითი<sup>2</sup> იყო მათი პასუხი ამ სეგმენტზე და რა საკითხებს დაუთმეს განსაკუთრებული ყურადღება.

**ცხრილი 1.** შეხედულებები ეკონომიკურ პოლიტიკაზე

პარტია	მიზნები 2024	ბიუჯეტი/მშპ %	ვალე/მშპ %	საბიუჯეტო დეფიციტი %
<b>ღელღო საქართველოსთვის</b>	ინფლაცია 3-4%, გაცვლითი კურსი 3-5%, მშპ ზრდა 8%, შიდა დანაზოგი მშპ-ს 25%, FDI მშპ-ს 15%, 200 ათასი ახალი სამუშაო ადგილი, თვითდასაქმებულთა 40% ხელფასზე, დასახლებების 80% კომუნალურებით უზრუნველყოფილი, დავოსის რეიტინგში მე-40 ადგილი	30%	NA	3%
<b>რეფორმატორები</b>	აგრო/მშპ 45-55%, მშპ 5.8%, კურსი 1.5%	NA	NA	NA
<b>სტრატეგია აღმაშენებელი</b>	FDI 4 მილიარდი აშშ დოლარი, \$/ლ=1/2, 300 ათასი სამუშაო ადგილი, ექსპორტის წილის ზრდა ვაჭრობაში, მშპ ზრდა 10% და მეტი	20%	40%	3%
<b>მოქალაქეები</b>	მშპ 80 მლრდ ლარი + FDI, ექსპორტი, სამუშაო ადგილი	18%	30%	NA
<b>ერთიანი საქართველო</b>	მშპ ზრდა 3%	NA	60%	NA
<b>ევროპული საქართველო</b>	ბიუჯეტი - 2 მლრდ ლარი 100 ათასი სამუშაო ადგილი	20%	NA	NA
<b>სამართლიანობისთვის</b>	ბიუჯეტი +17%	35%	<58%	NA
<b>ერთიანი ნაციონალური მოძრაობა</b>	მშპ 80 მლრდ ლარი	25%	NA	3%
<b>ქართული ოცნება</b>	200 ათასი ადგილი, 70 მლრდ ლარი	NA	NA	NA
<b>გირჩი</b>	ბიუჯეტი/მშპ 20%	10%	0	0
<b>ლეიბორისტული პარტია</b>	NA	NA	NA	NA
<b>თავისუფალი საქართველო</b>	NA	NA	NA	NA

2 თითო კითხვაზე პარტიები შეზღუდული იყვნენ 250 სიტყვით. იხ. დანართი 2

ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განხილვისას მმართველი პარტია განსაკუთრებულ აქცენტს აღმოსავლეთ ევროპაში რეფორმების თვალსაზრისით პირველობაზე აკეთებს და პირობას დებს, რომ დაბალი გადასახადები შენარჩუნდება, რეფორმების პროცესი კი გაგრძელდება (მითითებულია კონკრეტული მიმართულებები). საინტერესოა ისიც, რომ „ქართული ოცნება“ 2021 წელს ეკონომიკის პანდემიამდე ნიშნულზე დაბრუნებას წინასწარმეტყველებს და 2024 წლისთვის ევროკავშირთან DCFTA-ს ფარგლებში აღებული ვალდებულებების 85% შესრულების პირობას იძლევა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ყოფილი სახელისუფლებო პარტია - გაცილებით რადიკალურ პროგრამას გვთავაზობს: ორი უმნიშვნელოვანესი - სამემოსავლო და მოგების გადასახადების ეტაპობრივ გაუქმებას, გამყარებულ ვალუტას, სესხის დაბალ პროცენტს, კრედიტების გადავადებასა და ფინანსური პოლიციის გაუქმებას. საარბიტრაჟო სასამართლოს როლის გაძლიერებამ სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის დავების რაოდენობა უნდა შეამციროს. ამ პროგრამამ, პარტიის აზრით, 100 ათასი სამუშაო ადგილი და 10 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა მოიტანოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 100 ათასი და მეტი სამუშაო ადგილის შექმნა, რაც გავრცელებული თემაა სხვა პარტიების პროგრამებშიც - იგივე „ქართული ოცნება“, „ლელო“ - 200 ათას სამუშაო ადგილი, „სტრატეგია აღმაშენებელი“ სულაც 300 ათასი სამუშაო ადგილის შექმნას გვპირდება, ძალზე ოპტიმისტური განცხადებაა. იგივე შეიძლება ითქვას პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზეც. თუკი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციას დავყრდნობით, 2003 წლიდან დღემდე (მითუმეტეს, მანამდე) არც ერთი ადმინისტრაციის პირობებში არც ამ ოდენობის ინვესტიცია მოზიდულა და არც სამუშაო ადგილები შექმნილა (**იხ. ცხრილი 2**).

**ცხრილი 2.** ჯამური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და დასაქმების მაჩვენებლები

<b>FDI სტატისტიკა</b>	<b>1996-2003</b>	<b>2004-2012</b>	<b>2013-2019</b>
<b>ჯამური FDI (მლნ ლარი)</b>	1,326.0	9,170.8	10,852.8
<b>დასაქმების სტატისტიკა</b>	<b>2003</b>	<b>2012</b>	<b>2019</b>
<b>დასაქმება (ათასი ადამიანი)</b>	1,731	1,659	1,690
<b>დაქირავებული (ათასი ადამიანი)</b>	636	716	849
<b>თვითდასაქმებული (ათასი ადამიანი)</b>	1,093	936	840

ყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გვპირდება, რომ ეს საგადასახადო რეფორმა საშუალო ხელფასის გაორმაგებას (2000 ლარი/თვე) გამოიწვევს. მცირე მთავრობაც დასახელებულია, როგორც ერთ-ერთი მთავარი მიზანი, აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად (ეს ევროპულ საქართველოსთანაც ფიგურირებს). საინტერესოა, რომ იმ 7 პარტიიდან, რომელიც კონკრეტულ პარამეტრებს ასახელებს სახელმწიფო ხარჯების მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, 5 მათ შემცირებას უჭერს მხარს, აცხადებს რა, რომ ეს ეკონომიკის ეფექტიანი მოწყობის ერთადერთი სწორი გზაა. ამ დროს ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი, როცა საქმე ბიუჯეტის მშპ-თან შეფარდებას ეხება, დაახლოებით 39%-ია.

გადასახადების მნიშვნელოვან შემცირებას გეგმავს „ევროპული საქართველოც“ და 2 მლრდ ლარით აპირებს ბიუჯეტის შეკვეცას, რათა ეს ფული კერძო სექტორში დარჩეს. მსგავსი მიდგომის დადებითი ეფექტის შესახებ კითხვებს საქართველოში დღეს არსებული გადასახადების ისედაც დაბალი



დონე ბადებს, თუმცა ეს საკითხი არცერთ იმ პარტიას არ განუხილავს, რომელიც გადასახადების შემცირებას ემხრობა. საქმე ისაა, რომ ასეთ დროს, როცა გადასახადების დონე ისედაც დაბალია, მათი შემცირებით ეკონომიკური მოდელიები მნიშვნელოვან დადებით ეფექტს არ მოელოიან. „გირჩი“, „მოქალაქეები“ და „სტრატეგია აღმაშენებელიც“ ამ მიდგომას იზიარებენ, თუმცა ისინიც თავს არიდებენ საკითხის ამ ფორმით განხილვას. ხშირად პროგრამებში გავრცელებული სენტიმენტებითაც მანიპულირებენ, მაგალითად, „რაიონებში მეტი ფულის დატოვება“ (იხ. „ევროპული საქართველო“), რომელიც რეალობას არ ასახავს, მაგრამ კარგად ჟღერს. საქმე ისაა, რომ რაიონების უმეტესობა გადასახადებით გამომუშავებულზე გაცილებით მეტს მოიხმარს, ამიტომ რესურსის რაიონებში „დატოვება“ სიტუაციის ობიექტურად აღწერისთვის არ გამოდგება.

„სტრატეგია აღმაშენებელი“ 2024 წელს ორნიშნა რიცხვით გამოხატულ ეკონომიკურ ზრდას სხვადასხვა რეგიონში 8 ინდუსტრიული პარკის შექმნით გეგმავს, ხოლო „ერთიანი საქართველო“ გადასახადების შემცირების პარალელურად, მას შემდეგ, რაც საჭიროებებსა და შესაძლებლობებს გააანალიზებს, ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევას. აღსანიშნავია, რომ ამ ორი პარტიის დაგეგმილი ეკონომიკური ზრდის ტემპები ჩვენ მიერ განხილულ პარტიებს შორის უკიდურესობაა, სადაც „ერთიანი საქართველო“ 2024 წლისთვის ეკონომიკის 3%-იან ზრდას პოზიტიურ შედეგად მიიჩნევს.

გადასახადების შემცირებას მხარს „მოქალაქეებიც“ უჭერენ. ამგვარი შეღავათით მცირე და საშუალო ბიზნესი და ტექნოლოგიური კომპანიები ისარგებლებენ. შეღავათები დღგ-საც შეეხება (ამგვარი მიდგომები დღგ-სთან სხვა პროგრამებშიც ფიქსირდება). საინტერესოა, რომ ეს პარტია ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთ მთავარ პირობად ასახელებს დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობას, რაც კონკრეტული მიმართულებების განხილვისას არაერთი სხვა პარტიის პროგრამაშიც გვხვდება.

ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს მხარს უჭერს და მცირე და საშუალო ბიზნესს იცავს „ლეიბორისტული პარტია“, თუმცა, ზოგ სხვა პოლიტიკურ ჯგუფთან ერთად, ტარიფების, ეროვნული წარმოების ზრდისა და იმპორტის შემცირების მომხრეა. საინტერესოა, რომ პარტია „ერთიანი საქართველო“ იმპორტის, კონკრეტულად კი სასურსათო იმპორტის შემცირებას არარეალისტურად მიიჩნევს. „გირჩის“ შემთხვევაში კი, როგორც ყოველთვის და ყველა საკითხთან მიმართებაში, ყველაფერი მარტივადაა - 10-15% სახელმწიფოს წილი მშპ-ში, სახელმწიფო საკუთრების თანაბარი გადანაწილება და მაქსიმალური დერეგულაცია ყველა მიმართულებით (სავარაუდოდ, ეროვნული თავდაცვის გარდა).

მთავარი პრიორიტეტებისა და კონკრეტული პარამეტრების გარდა, პოლიტიკურ პარტიებს შეეძლოთ საკუთარი მოსაზრებები რამდენიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გამოეხატათ: **შიდა** და **უცხოურ ინვესტიციებთან** დაკავშირებით იკვეთება კონსენსუსი, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა დამოუკიდებელი და კომპეტენტური სასამართლოს შექმნას მიენიჭება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ და ზოგ სხვა საკითხთან მიმართებაში ჩვენი კვლევის მონაწილე ხუთმა პარტიამ - „ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ევროპულმა საქართველომ“, „ერთიანმა საქართველომ“, „გირჩიმ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ - შეთანხმებების სერიას მოაწერა ხელი და ამიტომაც მათი შეხედულებები რიგ საკითხებში ემთხვევა<sup>3</sup>. სასამართლოებთან დაკავშირებით „მოქალაქეები“ და „ლელოც“ მიჩნევენ, რომ ამ ინსტიტუციისთვის ნდობის დასაბრუნებლად უცხოელი მოსამართლეების ჩამოყვანა აუცილებელია.

აღსანიშნავია, რომ სხვა პარტიებისგან განსხვავებით, „ქართულმა ოცნებამ“ აქცენტი შიდა ინვესტიციაზე გააკეთა. **ტურიზმი** საქართველოსთვის თანდათანობით ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი და მზარდი სფერო გახდა და ახალი კორონავირუსის პანდემიით ეს სფერო ყველაზე მეტადაც დაზარალდა.

3 ახალი ამბების პორტალი [www.civil.ge](http://www.civil.ge); <https://civil.ge/ka/archives/371169>

პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა მხარს უჭერს შეღავათების გაფართოებასა და დროში გახანგრძლივებას. არის რამდენიმე ორიგინალური იდეაც: „მოქალაქეები“ არქეოლოგიურ ტურიზმზე საუბრობენ თავიანთ ინიციატივაში – „მემკვიდრეობა გაგვამდიდრებს“. მათი გეგმით, უნდა მოხდეს ისტორიული ნაგებობების პრივატიზაცია, რასაც სახელმწიფოს ხარჯების შემცირების ფონზე მოჰყვება მათი პოპულარიზაცია. ზოგიერთი პოლიტიკური პარტია განსაკუთრებულ აქცენტს ღვინოზე აკეთებს, „სტრატეგია აღმაშენებელი“ კი სამედიცინო ტურიზმს მიიჩნევს პერსპექტიულად და ამ სფეროში მასშტაბური პროექტების განხორციელებით 80 ათასი სამუშაო ადგილის შექმნას გვპირდება, 25 მლნ ტურისტით 5 წელიწადში და 5 მლრდ. აშშ დოლარის შემოსავალთან ერთად. „ქართული ოცნება“ და „ევროპული საქართველო“ აეროპორტების ქსელის გაფართოებასა და გაუმჯობესებას გეგმავენ. არის მოსაზრებები („ლელო“, „რეფორმატორები“) ტურიზმის აგროსექტორთან დაკავშირებისა, რაც ადგილობრივ წარმოებას შეუწყობს ხელს.

ყურადღების ცენტრში მოექცა **სოფლის მეურნეობაც**, რომელიც მუდმივად ფიგურირებს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო დღის წესრიგში. ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ დასაქმებული მოსახლეობის თითქმის ნახევარი სწორედ ამ სფეროშია. ამავდროულად, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მშპ-ში 10%-ზე ნაკლებია. შეთანხმების ხელმოწერილი 5 პარტია მხარს უჭერს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების ადგილობრივი მოსახლეობისთვის სრულად გადაცემას, იქნება ეს ინდივიდები თუ სოფელი. მეორე მხრივ, პოლიტიკური პარტიების უმეტესობა სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად ინტენსიურ პროექტებს გეგმავს: სასაწყობო, სამაცივრე მეურნეობების მოწყობას, მელიორაციის უზრუნველყოფას, გასაღების ბაზრების მოძიებას, ფასების რეგულირებას, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობას, სახელმწიფო ტენდერებში ადგილობრივი პროდუქციისთვის უპირატესობის მინიჭებას და ა.შ. ფაქტია, რომ ამ ინიციატივების უმეტესობა სახელმწიფოს მნიშვნელოვან ჩარევას მოიაზრებს, თუმცა ხშირად არ ჩანს, რა ფორმით მოხდება ეს ჩართულობა: ასე მაგალითად, „რეფორმატორები“ მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური აღმავლობის გზა სოფლად და ურბანულ ცენტრებშიც კოოპერაციული გაერთიანებების შექმნაა, მაგრამ კონკრეტულად რა პროცესებმა უნდა განაპირობოს ეს, ცხადად არ ჩანს.

**ეკოლოგია** არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ამ თემაზე დასმულ შეკითხვას პოლიტიკური პარტიების უმეტესობამ უპასუხა და რიგ შემთხვევაში კონკრეტული ორიგინალური ინიციატივებიც გააჟღერა. ისინი მხარს უჭერენ დაცული ტერიტორიების გაფართოებასა და ურბანული ცენტრების გამწვანებას. როგორც ჩანს, დიდი ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ კონსენსუსი ყალიბდება. მნიშვნელოვან გამოწვევად აღიქვამენ ავტომობილების გამონაბოლქვს, დაბინძურებულ ჰაერს და წყალს. მწვავედაა დასმული მშენებლობების საკითხიც. დანარჩენი პარტიებისგან განსხვავებით, „ლელო“ ერთადერთია, ვინც ყურადღება მიუსაფარ ცხოველებზეც გაამახვილა.

## სოციალური საკითხები, ჯანდაცვა და განათლება

ამ სეგმენტშიც 8 შეკითხვა გაერთიანდა, თუმცა ზოგი მათგანი კონკრეტულად კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებულ ანტიკრიზისულ ღონისძიებებს ეხებოდა. პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარი ხედვები განათლების, ჯანდაცვის, სოციალური უსაფრთხოების, კულტურისა და საგზაო უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებით წარმოადგინეს. მთავარი შეკითხვა, სადაც პარტიებს ორიგინალური ხედვის ყველაზე მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ, სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ინიციატივებს შეეხებოდა.

**ცხრილი 3.** ინიციატივები სოციალური უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად

პარტია	უკანსურო კითხვები (N)	სიტყვები (N)	სოციალური უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი ინიციატივები
სამართლიანობისთვის	0	1462	არცერთი კონკრეტული რაოდენობრივი კრიტერიუმით: პენსიების, დახმარების ზრდა, დემოგრაფიული მხარდაჭერა, სათამაშო ბიზნ. შეზღუდვა, მიწების დაკანონება
სტრატეგია აღმაშენებელი	0	1439	საშემოსავლოსგან გათავისუფლება - 24,000ლ, სოც. მენეჯერები, შიმშილის დაძლევა
ერთიანი საქართველო	0	1394	პროგრესული გადასახადი, მიზნობრივი დახმარება სოციალურად დაუც სტატუსი+1 წელი, უმუშევრ დახმარება 6 თვე, ვეტერანები, უსახლკაროები, პენსია 400ლ + სტაჟი, დედის სტაჟი
ლელო	0	1086	დასაქმება, სოც. დაუცველის სტატუსი+2 წელი, ტრენინგები
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა		1073	სოც. დაუცველის სტატუსი+1 წელი და 200,000 ჟელა (1 მლნ) + უფასო ჯანდაცვა/განათლება, პენსია 400ლ+ 400ლ დაზღვევა, + 200,000. მათგანი მიიღებს სოც. დახმ., უსახლკაროებისთვის პანსიონატი
ევროპული საქართველო	0	989	პენსია*2, სოც. დახმარება*2, შშმ, იძულებით გადაადგილებული პირების დახმარება*2, სახელმწიფო ქონება ხალხს, ალტ. დაგროვებითი პენსია
მოქალაქეები	0	829	მიზნობრივი დახმარება, სოც. დაუცველის სტატუსი+4 წელი
რეფორმატორები	3	526	გრანტები დახმარების ნაცვლად, კოოპერატივები
გირჩი		262	რეგულაციის მოხსნა სამედიცინო სფეროზე
ლეიბორისტული პარტია	1	193	მინიმალური ხელფასი, სოც. დახმარება*2, 200ლ მრავალშვილიან ოჯახს ბავშვზე, ვეტერანებს 300ლ, საათობრივი ანაზღაურება, კაზინოების გარეთ გატანა, კლუბური, სპორტული და ღამის ცხოვრების მხარდაჭერა
ქართული ოცნება	5	63	პასუხის გარეშე
თავისუფალი საქართველო	7	40	პასუხის გარეშე

ზემოთ მოყვანილ ცხრილში კარგად ჩანს ის წინადადებები, რომლებიც პარტიებმა ჩამოაყალიბეს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“, „ევროპულ საქართველოს“, „ერთიან საქართველოს“ და „ლეიბორისტულ პარტიას“ მკვეთრად გამოხატული მემარცხენე პოზიციები უჭირავთ. უფრო კონსერვატიულია „მოქალაქეებისა“ და „ლელოს“ პოზიციები, კიდევ უფრო მემარჯვენე პოზიციისკენ იხრებიან „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „რეფორმატორები“; „გირჩი“ ტრადიციულად ულტრამემარჯვენე პოზიციას იჭერს, თუმცა შეკითხვას, ცოტა არ იყოს, გაუგებრად პასუხობს - მათი ერთადერთი ინიციატივა სოციალური უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად სამედიცინო სფეროს დერეგულაციაა. ბოლომდე ნათელი არ არის კონკრეტული პროგრამა, რომელსაც პარტია „სამართლიანობისთვის“ გვთავაზობს, მიუხედავად იმისა, რომ „გირჩისგან“ განსხვავებით, საკმაოდ ვრცელი პასუხებით გამოიჩინება. „ქართულმა ოცნებამ“ და „თავისუფალმა საქართველომ“ პასუხისგან თავი შეიკავეს. მემარცხენე მიდგომის პარტიები ტრადიციულად მიუთითებენ პენსიების ზრდის აუცილებლობას, სოციალურად დაუცველთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელ მექანიზმებს, რომელთა შორის წამყვანი დახმარების შენარჩუნებაა. საუბარია



სოციალური დახმარების მიმღები კატეგორიის გაფართოებაზეც, სადაც სხვადასხვა შემთხვევაში პენსიონერები, მრავალშვილიანი ოჯახები და ზოგადად, უფრო მაღალი სარეიტინგო ქულის ოჯახებიც მოხვდებიან. უფრო მეტარჯუნე მიდგომებიდან საინტერესოა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ინიციატივა კერძო კომპანიებში სოციალური მენეჯერის თანამდებობის დასამკვიდრებლად, თუმცა, როგორ და რა ფორმით უნდა მოქმედებდეს ეს მექანიზმი, ბუნდოვანია. საინტერესოა ცნება შემოაქვს ერთიან საქართველოს „დედის ხელფასისა“ და „დედის სტაჟის“ სახით. პირველის განმარტება პასუხში არ ჩანს. მეორე - მართალია, დედის მიერ შვილის აღზრდაში დახარჯული დროის შრომით სტაჟში ასახვას გულისხმობს, მაგრამ ამ პარტიის კონსერვატიული მიდგომა აქაც აშკარაა: არ მოიაზრება შემთხვევები, სადაც ეს როლი შესაძლოა მამასაც ჰქონდეს. მეტარჯუნე შეხედულების მომხრენი ტრადიციულად, ტრენინგებსა და დასაქმებაზე აკეთებენ აქცენტს, „რეფორმატორები“ კი შეჭირვებულებს დახმარების ნაცვლად გრძელვადიან საგრანტო პროგრამებს სთავაზობენ. თუმცა, აქაც გაურკვეველია - რატომ უნდა ჰქონდეს ყველას მცირე ბიზნესის წამოწყების უნარ-ჩვევები ან მიდრეკილება.

ჯანდაცვასთან მიმართებაში ოპოზიციურ პარტიებში იგრძნობა კონსენსუსი რეფორმის აუცილებლობასთან დაკავშირებით. აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ახლანდელი სისტემა არაეკონომიური და არა ოპტიმალურია - ხარჯები არასწორად ნაწილდება. ბევრი პოლიტიკური გაერთიანების აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა მიზნობრივ პროგრამაზე გადასვლა. სუსტი წერტილი მედიკამენტების ფასები და ხარისხია. საუბარია ფარმაცევტულ მონოპოლიებზე და ფასების რეგულაციის აუცილებლობაზეც, თუმცა, არ ჩანს რა კვლევას ან ფაქტებს ეყრდნობა ეს მტკიცებულებები. ფაქტობრივად, სრული კონსენსუსია პირველადი ჯანდაცვისა და პრევენციული მიდგომების გასაძლიერებლად. პარტიების ნაწილი სამედიცინო ტურიზმის განვითარების ინიციატივითაც გამოდის, მაგრამ ძალზე ცოტა აკეთებს აქცენტს სამედიცინო განათლების გაუმჯობესებაზე. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ელექტრონული სერვისების განვითარებასა და დიגיტალიზაციას.

განათლებასთან დაკავშირებით პარტიების ნაწილი დეცენტრალიზაციას უჭერს მხარს და კერძო სკოლების რეგულაციას მნიშვნელოვნად ზღუდავს. ხშირია მოწოდებები განათლების სფეროს დეპოლიტიზაციისა და უმაღლესი განათლების ავტონომიურობისკენ. პარტიების ნაწილი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტებმა მოთხოვნადი პროფესიები უნდა ასწავლონ. ეს მოსაზრება საკმაოდ პრობლემურია - მოთხოვნადი პროფესიები აუცილებლად გამოიწვევს უნივერსიტეტებში ამგვარი პროგრამების არსებობას და თუ ასე არ ხდება, ან თავად მოთხოვნა ილუზორული, ან - არასტაბილურია. კვლავ მეტარჯუნე დამოკიდებულებას ავლენენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „ევროპული საქართველო“, რომლებიც ბაღების დაფინანსების ინიციატივით გამოდიან, მასწავლებლებს კი ხელფასის 1000-დან 2000 ლარამდე გაზრდას ჰპირდებიან. „ქართული ოცნებაც“ გვპირდება, რომ გაზრდის განათლების ბიუჯეტს და მოუმატებს გასამრჩელოს ბაღისა და სკოლის პედაგოგებს, თუმცა კონკრეტული რიცხვების დასახელებისგან თავს იკავებს.

გამონვევაა დისტანციური სწავლება და რამდენიმე პარტია სწორად აღნიშნავს, რომ ახლანდელმა მთავრობამ ვერ მოახერხა და არც უცდია ამ გამოწვევისთვის სათანადოდ ეპასუხა. მოსწავლეთა დიდი ნაწილი ინტერნეტის გარეშე, ან შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა არ გააჩნია, მთავრობა კი არც ფიქრობს ამ მიმართებით პასუხისმგებლობის გაზიარებას. „ლელო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ სკოლის მართვაში მშობლების ჩართულობის ზრდას მოითხოვს. განსაკუთრებით დეტალურად აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი მიდგომები „სტრატეგია აღმაშენებელს“, რომელიც სკოლისა და ბაღის ხელმძღვანელთა პოზიციებს საარჩევნო თანამდებობებად აცხადებს. „ერთიანი საქართველო“ კი სხვებისგან განსხვავებით, მოითხოვს ეროვნული გამოცდების გაუქმებას. ზოგადად, განათლების საკითხებთან მიმართებაში ცოტაა კონკრეტული, თუ ეს პედაგოგების ხელფასს და ამ სფეროს დეპოლიტიზირებას არ ეხება. არ არის სათანადო აქცენტი კვლევების აუცილებლობაზე და ჩანს, რომ მოქალაქეების ერთ-ერთი მოწოდება განათლების და (ჯანდაცვის) პოლიტიკის განგრძობითობის მისაღწევად საკმაოდ მნიშვნელოვანია. „გირჩი“ სისტემის სრულ დერეგულაციას ითხოვს, ხოლო „თავისუფალი საქართველო“ ამ საკითხებს არ ეხმაურება. „ლეიბორისტული პარტია“ განათლებაზე მხოლოდ კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებული კონტექსტიდან გამომდინარე მსჯელობს და მოსწავლეებისთვის კომპიუტერებისა და უფასო ინტერნეტ პაკეტების გადაცემის ინიციატივით გამოდის.

კულტურასთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა 9 პარტიამ წარმოადგინა (ქართული ოცნების, თავისუფალი საქართველოსა და რეფორმატორების გამოკლებით). მათი უმეტესობა სახელმწიფო დაფინანსების გაზრდას გვთავაზობს და მიიჩნევს, რომ კულტურული მემკვიდრეობისა დაცვა და ამ სფეროში მოღვაწე ადამიანების მხარდაჭერა აუცილებელია. კულტურა აღქმულია, როგორც საქართველოს სავიზიტო ბარათი. რამდენიმე პარტია კონკრეტულ ინიციატივებსაც გვთავაზობს: „მოქალაქეები“ კულტურული ძეგლების პრივატიზაციას მათი შენარჩუნება-პოპულარიზაციის ყველაზე სწორ გზად მიიჩნევენ; „სტრატეგია აღმაშენებელი“ კი აპირებს ყოველწლიურად 4 თემატური ფესტივალის დანერგვას და ორი ახალი მუზეუმის შექმნას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას. „ლეიბორისტული პარტია“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კინოინდუსტრიის დაფინანსებას მიიჩნევენ პრიორიტეტულად, დამატებით კი ეს უკანასკნელი საგადასახადო შეღავათების დანერგვას სწორედ კულტურის სფეროდან გეგმავს. „ლელო“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ სფეროს ფინანსურ დამოუკიდებლობას და მიიჩნევს, რომ აქტივობების უმეტესობა კონკურსებისა და ტენდერების სახით უნდა დაფინანსდეს. რამდენიმე პარტია აქცენტს ეროვნული რენვის მხარდაჭერაზეც აკეთებს.

კიდევ ერთი სპეციფიკური შეკითხვა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოწესრიგებას შეეხებოდა. ამ კითხვას მეტნაკლები სიღრმით 8 პარტიამ უპასუხა. აღსანიშნავია, რომ პასუხების უმეტესობა კონკრეტულ მექანიზმებს შეიცავს. გარკვეული კონსენსუსია საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებასა და საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. ორიგინალური ინიციატივებიდან აღსანიშნავია პარტია „სამართლიანობისთვის“ მიერ გამოთქმული წინადადება ბავშვთა სავარძლების დანერგვის თაობაზე, „ლელო“ კი ავტომობილის მართვის უნარ-ჩვევების სასკოლო პროგრამაში ჩართვას უჭერს მხარს. აღსანიშნავია, რომ არც „ქართულმა ოცნებამ“ და არც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ საჭიროდ არ მიიჩნიეს ამ საკითხზე აზრის გამოთქმა.

## პოლიტიკის ბლოკი

ამ სეგმენტში სულ 5 შეკითხვა იყო, რომლებიც შესაძლო კონსტიტუციურ ცვლილებებს, საარჩევნო სისტემას, სასამართლო ხელისუფლებას, საჯარო სამსახურსა და სამოქალაქო საზოგადოებას შეეხებოდა. ბევრ საკითხზე ოპოზიციური პარტიების მოსაზრებები მეტნაკლებად დაემთხვა. ახალი საარჩევნო სისტემა (გარდა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესებისა) ყველასთვის დიდწილად მისაღები აღმოჩნდა, ხოლო სასამართლოს ძირეული რეფორმა პრაქტიკულად ყველა პარტიის, გარდა მმართველი „ქართული ოცნებისა“, მთავარი ამოცანაა. შედარებით ზოგადი იყო დისკუსია საჯარო სამსახურისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის შესახებ.

კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტური კონსენსუსია სასამართლო სფეროს რეფორმირებასთან დაკავშირებით. მმართველი „ქართული ოცნების“ გარდა, ყველა პარტია მიიჩნევს, რომ ამ საკითხის სწრაფი გადაწყვეტა პრიორიტეტულია. სამი პარტია („თავისუფალი საქართველო“, „რეფორმატორები“, „სტრატეგია აღმაშენებელი“) მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის არჩევნები პირდაპირი წესით უნდა ჩატარდეს და შესაბამისად, მისი უფლებები გაიზარდოს. ასევე ნახსენებია თვითმმართველობის გაძლიერება, განათლების პოლიტიკა და სავალდებულო ხმის მიცემის შემოღება, როგორც პოტენციური ცვლილებების მიმართულება. ერთადერთი პარტია, რომელიც მიიჩნევს, რომ კონსტიტუციას ხელი არ უნდა ვახლოთ, „ლელო“ა.

ამ სექციის მეორე კითხვა უშუალოდ სასამართლო სისტემის რეფორმას ეხება. პარტიებს შეეძლოთ, კონკრეტული წინადადებებიც წარმოედგინათ. მართალია, „ქართულმა ოცნებამ“ კონსტიტუციის ცვლილებებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა, აქ კი განაცხადა, რომ მოსამართლეთა კომპეტენციის გაზრდას და საქმეების განხილვის დაჩქარებას გეგმავს. ოპოზიციური პარტიების უმეტესობა ძირეულ რეფორმაზე საუბრობს და მთავარ გამოწვევად სასამართლოს ხელისუფლებაზე დამოკიდებულებაში ხედავს. ამ „ხარვეზის“ გამოსასწორებლად რამდენიმე წინადადებაა წარმოდგენილი: ერთი უცხოელი მოსამართლეების ჩამოყვანას მიიჩნევს სწორ გზად, მეორე - არბიტრაჟის როლის გაძლიერებაზე საუბრობს, მესამეს კი მოსამართლეების არჩევითობის



დამკვიდრება მიაჩნია სწორად. შეთანხმების მონაწილე პარტიები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმასა და 2017 წლიდან მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის ყველა შემთხვევის გაუქმებას აანონსებენ. საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, ჩანს რომ პარტიები პროპორციულ სისტემაზე გადასვლას იმედიანად უყურებენ, თუმცა მათი უმცირესობა რეგიონულ-პროპორციულ სისტემას ამჯობინებდა. შედარებით ზოგადია საჯარო სამსახურთან დაკავშირებული მოსაზრებები. აქ როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური პარტიები არასადაო განცხადებებს აკეთებენ კონკრეტული მექანიზმები გარეშე. ზოგადია პარტიების დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოების მიმართაც.

## საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება

გასაგები მიზეზების გამო ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სეგმენტია: საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ამ უკანასკნელმა ამ ტერიტორიაზე არსებული წარმონაქმნების ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა და ადმინისტრაციულ საზღვართან მავთულხლართების გავლება დაიწყო. ამავდროულად, ასიათასობით იძულებით გადაადგილებული პირი უკვე 20 წელიწადზე მეტია, უფრო ქმედით ღონისძიებებს ითხოვს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საბოლოო ჯამში კი, სახლებში დასაბრუნებლად. საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის მიერ მხარდაჭერილი ევროატლანტიკური კურსი მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს აწყდება რუსეთის არაფორმალური ვეტოს სახით ნატო-ს წევრობასთან მიმართებაში, ხოლო ევროინტეგრაციის პროცესის წარმატება დიდწილად მტკიცებულ რეფორმებს უკავშირდება. ჩვენს სამეზობლოში მიმდინარე კონფლიქტი, სამწუხაროდ, ახალ გამონვევებს ქმნის. პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების, „მცოცავი“ ოკუპაციის, საგარეო პოლიტიკური კურსისა და ევროკავშირთან პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ.

ევროკავშირთან თანდათანობითი ინტეგრაცია და საბოლოოდ, ამ ორგანიზაციის წევრობა, პარტიების აბსოლუტური უმრავლესობის მიზანია. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში არ მოიცავს პროცესი ნატო-ში ინტეგრაციასაც (პარტია „ერთიანი საქართველო“). ამ შემთხვევაშიც, პარტია „ერთიანი საქართველო“ მიიჩნევს, რომ საქართველომ უნდა ითანამშრომლოს ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციასთან, მათ შორის, სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობით. მართალია, ეს პოლიტიკური პარტია პირდაპირ არ ამბობს უარს ნატოში ინტეგრაციაზე და საკუთარ პოზიციას ამ ორგანიზაციაში განწევრების მცირე შანსებით ხსნის, მაგრამ მისი რეალური დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ამკარაა, როდესაც ხაზს უსვამს კონსტიტუციაში ქვეყნის ნეიტრალიტეტისა და მიუმხრობლობის დაფიქსირებას. მეორე მხრივ, პოლიტიკური პარტიების უმეტესობა ცენტრალურ როლს ანიჭებს ნატო-სა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაში. ბევრი ოპოზიციური პარტია მიიჩნევს, რომ ჯეროვან აქცენტებს არ ვაკეთებთ აშშ-სთან პროაქტიულ ურთიერთობებზე და მათი საკმაო ნაწილი საქართველოში ამ ქვეყნის ინფრასტრუქტურის განთავსების წინადადებით გამოდის. ზოგი პარტია აშშ-სთან ორმხრივ თავდაცვით ხელშეკრულებასა და თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას გვპირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია პრიორიტეტულ და უფრო რეალურ მიზნად იკვეთება. ის პარტიები, რომლებიც კონკრეტულ მექანიზმებს განიხილავენ, ხაზს უსვამენ DCFTA-ს რეალურ ამოქმედებას და ჩვენი მუშახელისთვის ევროპაში მუშაობის უფლების (კვოტების სახით) მოპოვებას. ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებაში წამოჭრილია ჰიბრიდული ომისა და კიბერშეტევების საკითხები. ამავდროულად, განხილულია ქვეყნის თავდაცვის მოწყობის სისტემა და აქცენტი ახლანდელი სისტემის ძირეულ რეფორმაზე, სარეზერვო სისტემის ამოქმედებასა და ტოტალური თავდაცვის იდეის იმპლემენტაციაზე კეთდება. ტერიტორიული მთლიანობისა და „მცოცავი“ ოკუპაციის საკითხები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და ხშირად პარტიების პასუხში ზოგადი მოწოდებები ქარბობს. ეს განწყობები უაღრესად მშვიდობიანი ხასიათისაა. არის შემთხვევები, როცა პარტიები კონკრეტული ინიციატივებითაც გამოდიან: ადმინისტრაციულ საზღვართან მცხოვრები ადამიანებისთვის სპეციალური სტატუსის მინიჭება და დახმარების გამოყოფა, რუსულენოვანი ტელევიზიის დაარსება და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ტრანსლირება. არის მოწოდებები დიალოგის შესახებ, იშვიათად, საუბარია რუსეთთან მოლაპარაკებებზეც.

## უფლებები

ამ სექციაში პარტიებმა 5 საკითხზე მოგვახსენეს საკუთარი აზრი: იძულებით გადაადგილებული პირები, გენდერული თანასწორობა და პოლიტიკა, ბავშვთა უფლებები, უმცირესობების უფლებები და პირადი ინფორმაციის დაცულობა. ფაქტობრივად, სრული თანხმობა ბავშვთა უფლებების მხარდაჭერის თვალსაზრისით და ჩანს, რომ პარტიების აბსოლუტური უმრავლესობა კარგად იაზრებს ამ საკითხის არსს და მნიშვნელობას. მეორე მხრივ, გარკვეული კონსენსუსია გენდერულ საკითხთან მიმართებაში, თუმცა პარტიების უმეტესობა მიიჩნევს, რომ პრობლემა სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გარეშე უნდა მოგვარდეს.

ძალზე ზოგადად არის განხილული იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხი და საუბარი ძირითადად მათი ბინებით დაკმაყოფილებას შეეხება. მხოლოდ ერთმა პარტიამ გააკეთა აქცენტები ამ ჯგუფის წარმომადგენლობის შექმნაზე. რაც შეეხება უმცირესობების უფლებებს, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი აქცენტი ეთნიკურ უმცირესობებზე გაკეთდა. ზოგადი დისკუსია იყო პერსონალური ინფორმაციის დაცვის ოფიცერთან დაკავშირებითაც.

## სხვა პარტიები

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებში 48 პოლიტიკური პარტია და 2 საარჩევნო ბლოკი დარეგისტრირდა. იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ანალიზის ფოკუსში ის საარჩევნო სუბიექტები მოექცნენ, რომელთაც საკუთარი პროგრამული ხედვის ამომრჩევლისთვის წარსადგენად [partiebi.ge](http://partiebi.ge)-ს პლატფორმა გამოიყენეს, უყურადღებოდ არც დანარჩენი პარტიები დაგვიტოვებია. შევეცადეთ, მათი პროგრამებიც განგვეხილა, რაც განსხვავებულ ფორმატს მოითხოვდა. სხვაგვარად გაგვიჭირდებოდა სრულფასოვანი შედარება - ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რომ დანარჩენი პარტიებიც იმ საკითხებს შეეხებოდნენ, რაც ჩვენ მიერ წარმოდგენილ ვებპლატფორმაზე განიხილებოდა. ამიტომ დანარჩენი პარტიების პროგრამებს ცალკე თავი დავუთმეთ, თუმცა შევეცადეთ, ანალიზისას იგივე მიდგომა გამოგვეყენებინა - მათი პროგრამები პოლიტიკური კურსის, კომპეტენციისა და კონკრეტული სამოქმედო გეგმების/ინიციატივების მიხედვით წამოჭრილი ამოცანების გათვალისწინებით შეგვეფასებინა. დარჩენილი 38 პოლიტიკური გაერთიანებიდან ვებსივრცეში ხელმისაწვდომი მხოლოდ 4 პარტიის ხედვა აღმოჩნდა. საკუთარი პროგრამა თითოეულმა სხვადასხვა ფორმით წარმოადგინა.

პოლიტიკური მოძრაობა „დავით ქიქინაძე - ტრიბუნა“<sup>4</sup> საკუთარი პარტიის პოზიციებს 3 გვერდზე (712 სიტყვა) ასახავს. „ქართული იდეის“ პროგრამაც თანმიმდევრულ იდეოლოგიურ ნაშრომზე მეტად, მოკლე დევიზებს ჰგავს.<sup>5</sup> ამ კატეგორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსია“, რომელიც ტრადიციულად, პარტიული გაზეთის საშუალებით გვიზიარებს საკუთარ ხედვას<sup>6</sup>. აქვე განვიხილავთ პარტია „რეფორმერის“ მიერ წარმოდგენილ პროგრამასაც, რომელიც გამონაკლისია და დაახლოებით 100 გვერდს მოიცავს (ეს მაშინ, როცა პარტია მიმდინარე წლის ზაფხულში დაარსდა). „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“, რომელიც უკვე 8 წელიწადია საპარლამენტო პარტიაა, ეკონომიკაში ცენტრალურად სახელმწიფოს როლი მიაჩნია. მაღალმა ტარიფებმა სოფლის მეურნეობის ადგილობრივი პროდუქციით უნდა უზრუნველყოს ქვეყანა. ეკონომიკური თანასწორობის ერთ-ერთი გზა გადასახადების დიფერენციაციაა. სახელმწიფომ უნდა შეიძინოს გარკვეული დანადგარები და დაურიგოს ოჯახებს, რათა მათ შეძლონ რიგი ფართო მოხმარების საგნების წარმოება (როგორცაა,

4 დავით ქიქინაძე -- ტრიბუნა. პარტიის პროგრამა. <https://tribuna.ge/programa/?fbclid=IwAR3b4FMNwS7V93oxyJfsBRW9oYS87OZp6MwVnNiP2rnMDrGkVMkVbB4GeZ8>

5 ქართული იდეა. პარტიის ვებგვერდი. პროგრამა -- განმარტებებით. [http://qartuliidea.ge/programa/?fbclid=IwAR0q7Clxy9JZbJr8KKyU1F2yZmelDdZL7ZqrW5XCpBJKUX3uC-JqtEm\\_gXs](http://qartuliidea.ge/programa/?fbclid=IwAR0q7Clxy9JZbJr8KKyU1F2yZmelDdZL7ZqrW5XCpBJKUX3uC-JqtEm_gXs)

6 საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. ჩვენი გაზეთი. <http://patriots.ge/ka/program?fbclid=IwAR2EaGX8ohESRhzq6mltRgtUkg0swPPeFEjKDFbCYgF4E24bNEYyQK9T2fo>

სველი და მშრალი ხელსახოცები, პლასტმასის ბოთლები და ა.შ.). „ყოველწლიურად სახელმწიფო 30 ათას ოჯახს უნდა ჩუქნიდეს წვრილ ოჯახურ ბიზნესს“ - ვკითხულობთ პარტიული გაზეთის 2020 წლის მე-3 ნომერში. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ მემარცხენე პოზიცია აქვს სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებითაც. მისი მემარჯვენეობა ძირითადად, საზოგადოებრივ პოზიციებში ვლინდება. ლიბერალური ღირებულებები ამ ორგანიზაციისთვის უკიდურესად მიუღებელია. მართალია, განათლების განვითარებისთვის ახალგაზრდების უცხოეთში სწავლა პოზიტიურ მიღწევად მიაჩნია, თუმცა ქვეყნები, სადაც ქართველი ახალგაზრდები უნდა გაიგზავნონ, ძირითადად, იაპონია და სამხრეთ კორეა სახელდება. საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოს ნეიტრალურ ქვეყნად გამოცხადებას ემხრობა. ფიქრობს, რომ რუსეთთან და სუპარატისტულ რეგიონებთან პირდაპირი დიალოგი უალტერნატივოა. პარტია მკვეთრად ანტიურქული განწყობით გამოირჩევა და ცდილობს, ეს ქვეყანა იმავე რანგის აგრესორად წარმოაჩინოს, როგორც რუსეთია. ინდივიდის უფლებები მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია და ძირითადი ყურადღება სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი მორალის მთავარ შემოქმედსა და ზედამხედველს ენიჭება.

ჩვენ მიერ განხილული პარტიებიდან ამ ორგანიზაციას ყველაზე მეტად „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა“ ჰგავს, მაგრამ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ რიგ საკითხებში გაცილებით რადიკალურია. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო კონსერვატულია პარტია „ქართული იდეა“, რომელიც, მართალია, ასევე სოციალურ უზრუნველყოფაზე ორიენტირებული, მაგრამ მის ხედვებში ქრისტიანული მორალის ელემენტთა სიჭარბე იგრძნობა: აბორტის აკრძალვა, ოჯახის ხელშეუხებლობა, მათ შორის, ბავშვთა შესახებ ახალი კანონმდებლობა, განსაკუთრებით მტკიცვეულად აღიქმება. პარტია ასევე მხარს უჭერს მაღალ ტარიფებს და ერთ-ერთ მთავარ მიზნად დემოგრაფიული ვითარების გამოსწორებას მიაჩნია. ამისთვის მზადაა, თითოეულ ბავშვზე გამოყოფოს სოლიდური თანხა. საგარეო პოლიტიკური კურსის თვალსაზრისით, რუსეთის მიმართ ეს ორგანიზაციაც შედარებით ლოიალურია, თუმცა ევროკავშირში განევრებას არ ეწინააღმდეგება.

რაც შეეხება პარტია „ტრიბუნას“, რომელსაც დავით ჭიჭინაძე ხელმძღვანელობს, მკვეთრად გამოხატული მემარცხენე პარტიაა, რომელიც ფინანსური სექტორის დიდ ნაწილს მევახშეებად აღიქვამს. იმპორტის ჩანაცვლების გარდა, ამ პარტიებს ასევე აერთიანებთ სურვილი, შეცვალონ სასამართლოში არსებული ვითარება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ თვალსაზრისით კონსენსუსი მაღალია.

პარტია „რეფორმერები“, რომელიც ამა წლის ივლისში შეიქმნა, შთამბეჭდავი 100-გვერდიანი პროგრამით გამოირჩევა. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხებს, ჩანს, რომ პარტია უფრო ცენტრისტული მიდგომებით გამოირჩევა და დასავლურ საგარეო კურსს ემხრობა. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი საკითხი გაანალიზებულია მეტნაკლებად ამომწურავად.



#### 4. დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა

პოლიტიკური მოძრაობა „დავით ჭიჭინაძე-ტრიბუნა“ 2019 წელს დაარსდა. მისი დამფუძნებელი და ლიდერი, დავით ჭიჭინაძე „დემოკრატიული აღორძინების კავშირის“ სიით 1999-2003 წლებში საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის წევრი იყო.

2016 წელს ჭიჭინაძე საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრი გახდა. საკანონმდებლო ორგანოში ის „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენდა. 2018 წელს იდეოლოგიური უთანხმოების გამო ჭიჭინაძემ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა. 2018 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის მარტამდე დავით ჭიჭინაძე ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ წევრი იყო.

პოლიტიკური პარტია „ტრიბუნა“ მემარცხენე-კონსერვატიული იდეოლოგიის პარტიაა. პარტიის პროგრამაში აქცენტი სოციალურ და ეკონომიკურ თემატიკაზე კეთდება. ხშირია პოპულისტური ლოზუნგები. მაგალითად, პარტია სახელმწიფოსთვის „მევახშური არასამართლებრივი მენარმეობით ბანკების მიერ მითვისებული ქონების“ დაბრუნების ინიციატივით გამოდის. „ტრიბუნა“ ამომრჩევებს „უკანონო საურავებისგან და ვალებისგან“ გათავისუფლებას ჰპირდება. პარტიის პრიორიტეტად ასევე ელიტურ კორუფციასთან ბრძოლა და სიღარიბის დაძლევა სახელდება. „ტრიბუნა“ მოითხოვს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე პირდაპირი არჩევნებით აირჩიოს საქართველოს მოსახლეობამ.





## 8. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 2012 წლის დეკემბერში დაარსდა. მისი დამფუძნებლები ირმა ინაშვილი და დავით თარხან-მოურავი არიან. პოლიტიკური საქმიანობის დაწყებამდე ინაშვილი ჟურნალისტიკაში მოღვაწეობდა, 1993-2005 წლებში მუშაობდა „საქართველოს პირველ არხზე“, 2003-2010 წლებში მედიაკავშირ „ობიექტივის“ მთავარი რედაქტორი, 2010-2012 წლებში კი ამავე კომპანიის პროგრამების დირექტორი იყო.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში ქვეყნის მასშტაბით 4,72% მიიღო და რამდენიმე მუნიციპალიტეტში მოიპოვა მანდატები. თბილისის საკრებულოს პროპორციულ არჩევნებში პარტიამ ხმათა 6,34 % დააგროვა, გადალახა საარჩევნო ბარიერი და საკრებულოში ორი წევრი შეიყვანა. ირმა ინაშვილმა, რომელიც მერის არჩევნებში მონაწილეობდა, ამომრჩეველთა ხმების 5 % მიიღო და მეოთხე ადგილი დაიკავა.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ ამომრჩეველთა ხმების 5,01 % დააგროვა და პარლამენტში 6 მანდატი მოიპოვა. ირმა ინაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი დაიკავა. 2018 წელს პარტიის კანდიდატი დედაქალაქის მერის არჩევნებში კვლავ ირმა ინაშვილი იყო. ინაშვილი ამჯერად მეხუთე ადგილზე გავიდა და ამომრჩეველთა ხმების 3,02 % მიიღო.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ მემარჯვენე-კონსერვატიული პარტიაა. პარტიის ლიდერებისთვის მკვეთრად გამოხატული ანტიდასავლური და ანტითურქული რიტორიკაა დამახასიათებელი. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თურქეთს ექსპანსიონისტურ პოლიტიკაში ადანაშაულებს. 2020 წლის აგვისტოში საარჩევნო კამპანიის ფარგლებში პარტიამ ბათუმში პროვოკაციული ბანერი განათავსა. ბანერზე რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებთან ერთად მონიშნულია აჭარა, როგორც რეგიონი, რომელსაც „თურქული საფრთხე“ ემუქრება.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები პერიოდულად ჩადიან მოსკოვში, სადაც რუსეთის პარლამენტის წევრებს ხვდებიან. პარტია საქართველოს ნატოში გაწევრების წინააღმდეგ გამოდის და „სამხედრო მიუმხრობლობის“ იდეის პროპაგანდას ეწევა. 2020 წლის წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას მედიაში გავრცელდა ინფორმაცია „პატრიოტთა ალიანსის“ რუსეთიდან დაფინანსების შესახებ.



## 13. პარტია რეფორმერი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „რეფორმერი“ 2020 წლის ივლისში დაფუძნდა. ახალ პოლიტიკურ პარტიაში ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი, ახალგაზრდა პოლიტიკოსები გაწევრიანდნენ. პარტიის ლიდერი ბიზნესმენი თორნიკე ჯანაშვილია. ჯანაშვილს განათლება შეერთებულ შტატებსა და რუსეთში აქვს მიღებული, ფლობს წილს რამდენიმე სამშენებლო კომპანიაში.

„რეფორმერი“ გამოირჩევა აქტიური კამპანიით სოციალურ ქსელებში, დასპონსორებული პოლიტიკური რეკლამით მედიაში. პარტიის შექმნამდე მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება, მათ შორის იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ლობივრებდა პოლიტიკაში ახალი ფიგურის მოსვლას, რომელიც აქცენტს ახალგაზრდების გაერთიანებაზე გააკეთებდა. თავად პარტიის ლიდერ თორნიკე ჯანაშვილი უარყოფს, რომ ხელისუფლებასთან ან „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის ოჯახთან რაიმე კავშირი აქვს.

„რეფორმერი“ ცენტრისტული პოლიტიკური პარტიაა, რომელიც არ ექცევა იდეოლოგიურ ჩარჩოში და იზიარებს როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე მიდგომებს. პარტიის იდეოლოგია მოიცავს პროგრესივიზმს, პირდაპირ დემოკრატიას, ლიბერალიზმს. „რეფორმერი“ მხარს უჭერს საქართველოს ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანებას.



## 44. ქართული იდეა

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული იდეა“ 2014 წლის დეკემბერში დაფუძნდა. პარტიის თავმჯდომარე ლევან ჩაჩუაა. ჩაჩუა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრი იყო. 2010 წელს ის ექსტრემისტული ქმედების გამო დააკავეს, როცა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ რამდენიმე წევრთან ერთად ტელეკომპანია „კავკასიის“ სტუდიაში შეიჭრა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ხულიგნობისა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელის შეშლისთვის ჩაჩუას 4 წლითა და 6 თვით აღუკვეთა თავისუფლება.

2012 წელს საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტმა ლევან ჩაჩუა საპატიმროდან პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა. 2013 წელს ჩაჩუა, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა. ამჟამად ლევან ჩაჩუა „ხარისხის არხზე“ გადაცემის - „დასაბამიდან სასუფევლამდე“ წამყვანია.

პარტია „ქართული იდეის“ დამფუძნებელი, ლევან ჩაჩუასთან ერთად, „საქართველოს დემოკრაფიული საზოგადოება 21“-ის წარმომადგენელი, გურამ ფალავანდიშვილია. პოლიტიკურ გაერთიანებასთან თანამშრომლობს საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის წევრი (საარჩევნო ბლოკი „საქართველოს აღორძინება“) სანდრო ბრეგაძე, თუმცა ეს უკანასკნელი არჩევნებში საკუთარი პოლიტიკური გაერთიანებით -- „ქართული მარში“ -- მონაწილეობს. „ქართული იდეა“ ხშირად მართავს საპროტესტო აქციებს, მისი ლიდერები ქსენოფობიური და ჰომოფობიური განცხადებებით, ანტიდასავლური რიტორიკით გამოირჩევიან.

„ქართული იდეის“ ერთ-ერთ მიზნად ქვეყნის დეოკუპაციისთვის რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება სახელდება. აღსანიშნავია, რომ „ქართული იდეა“ საკუთარ ფეისბუქ გვერდზე პერიოდულად რუსული პროპაგანდისტული მედიის (Russia today) კონტენტს აზიარებს.

## შეჯამება

პარტიების პროგრამების ანალიზი მიუთითებს, რომ თანდათანობით ვრცელდება პარტიის ტიპი, რომელიც კლასიკური გაგებით უფრო მოძრაობას წარმოადგენს და ქვეყნის დამოუკიდებლად მართვის პრეტენზია არა აქვს. სწორედ ასეთ პოლიტიკურ ორგანიზაციებად იკვეთებიან „თავისუფალი საქართველო“, „გირჩი“, „რეფორმატორები“ და „ლეიბორისტული პარტია“. ამ პოლიტიკური სუბიექტების აქცენტები და მიდგომები ცხადად აჩვენებს, რომ მათი ინტერესის სფერო კონკრეტული მიმართულებებია. ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში, სადაც პარტიების მიერ პასუხგაუცემელ შეკითხვებს ვნახავთ და ასევე ვიხილავთ სიტყვების იმ რაოდენობას, რომლითაც უპასუხეს პარტიებმა.

საკითხების დაფარვის თვალსაზრისით დანარჩენ პარტიებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება მმართველი „ქართული ოცნება“, თუმცა ამას უფრო პარტიის ლიდერებთან პოზიციების შეუთანხმებლობა განაპირობებს, ვიდრე „ქართული ოცნების“ სტრატეგია - რამდენიმე კონკრეტულ საკითხზე ჰქონდეს მკვეთრად გამოხატული და კარგად ჩამოყალიბებული პოზიცია.

გასული საარჩევნო ციკლების მსგავსად იკვეთება ტენდენცია, პოლიტიკურ პარტიას ჰქონდეს მემარჯვენე პოზიციები ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებაში და მემარცხენე მიდგომები - სოციალური პოლიტიკის გატარებისას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი შინაარსობრივი დეტალიზაცია და კონკრეტული მექანიზმების რაოდენობა, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.



ცხრილი 4. რაოდენობრივი მონაცემები - პოლიტიკური პარტიები

პარტია	ეკონომიკა		სოციალური საკითხები		პოლიტიკა		საგარეო პოლიტიკა		უფლებები		უპასუხო კითხვები ჯამი	სიტყვები სულ	უპასუხო კითხვები სულ
	კითხვები (n)	სიტყვები (n)	უპასუხო კითხვები (n=8)	სიტყვები	უპასუხო კითხვები (n)	სიტყვები (n)	უპასუხო კითხვები (n)	სიტყვები (n)	უპასუხო კითხვები (n)	სიტყვები (n)			
ევროპული საქართველო	0	1131	0	925	0	576	0	1241	0	593	2056	3873	0
თავისუფალი საქართველო	7	182	5	272	1	177	6	166	3	63	454	797	22
ქართული ოცნება	5	205	3	654	3	84	4	311	3	64	859	1254	18
ერთიანი საქართველო	0	1536	0	1118	0	837	0	1208	0	598	2654	4699	0
ენმ	1	1215	0	867	0	545	1	711	0	877	2082	3338	2
გირჩი	0	404	0	527	0	431	0	377	0	329	931	1739	0
ლეიბორისტული პარტია	1	335	3	511	1	72	2	438	2	461	846	1356	9
ლელო საქ.	0	1228	0	1743	0	869	0	1815	0	1099	2971	5655	0
მოქალაქეები	0	971	0	1173	0	356	0	544	0	513	2144	3044	0
რეფორმატორები	3	668	0	1479	1	308	3	344	2	259	2147	2799	9
სამართლიანობისთვის	0	1604	0	903	0	531	0	837	0	562	2507	3875	0
სტრატეგია აღმაშენებელი	0	1581	0	1178	0	649	0	1653	0	653	2759	5061	0

აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე ახალი პარტია - „ლელო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და შედარებით უფრო ნაკლებად „მოქალაქეები“ - საკმაოდ ვრცელი პროგრამული შეხედულებებით წარდგინენ [partiebi.ge](http://partiebi.ge)-ს მკითხველის წინაშე. ამ პარტიების პლატფორმებში ხშირად ჩანს ტრადიციული საკითხების მიმართ ახლებური და საინტერესო მიდგომა. ზოგი ტრადიციული პარტია, როგორც აღვნიშნეთ, გაცილებით კონკრეტულ პროგრამულ იდეებს გვანვდის, ვიდრე მანამდე და ეს შინაარსობრივი დისკურსის განვითარების თვალსაზრისით უდავოდ იმედისმომცემია. ეს პლატფორმა კარგად გვიჩვენებს, რომელი პოლიტიკური ორგანიზაცია რა საკითხშია კომპეტენტური, რაც ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

**დანართი 1: პოლიტიკური პარტიების მოკლე ანალიტიკური პროფილი**

## 2. ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მიხეილ სააკაშვილს ღიად დაუპირისპირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთი ლიდერი. საბოლოოდ პარტიის სიით პარლამენტში შესული დეპუტატების უმრავლესობამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა და ახალი ფრაქცია შექმნა. 2017 წლის 27 მაისს პარტია „ევროპული საქართველოს“ დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა. პარტიის თავმჯდომარედ დავით ბაქრაძე, გენერალურ მდივნად - გიგი უგულავა, პოლიტიკური საბჭოს ხელმძღვანელად კი გიგა ბოკერია აირჩიეს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტიამ მესამე ადგილი დაიკავა. თბილისის მერის არჩევნებში „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი ელენე ხოშტარია იყო. ხოშტარიამ 28 411 ხმა მიიღო (7,11% ) და მეოთხე ადგილზე გავიდა. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პარტიის კანდიდატმა, დავით ბაქრაძემ 174 849 ხმა მიიღო (10, 97 %) და მესამე ადგილი დაიკავა. მეორე ტურში მან მხარდაჭერა გრიგოლ ვაშაძეს გამოუცხადა.

„ევროპული საქართველო“ მემარჯვენე-ცენტრისტული პოლიტიკური ძალაა. პარტიის მიერ დეკლარირებული პრიორიტეტებია: ადამიანის უფლებები და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარება. პარტია მხარს უჭერს გადასახადებისა და ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებას.

პარტიას მკაფიოდ გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია გააჩნია. მისი მიზანია საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრული ინტეგრაცია, ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავება, აშშ-სთან სავიზო რეჟიმის გამარტივება. „ევროპული საქართველო“ „ევროპის სახალხო პარტიის“ ასოცირებული წევრია.



## 3. ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა

„ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობის“ დამფუძნებელი საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძეა. 1995 წელს ბურჯანაძე მეოთხე მოწვევის პარლამენტში „მოქალაქეთა კავშირის“ პარტიული სიით მოხვდა, 2000-2001 წლებში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა, 2001 წლის ნოემბერში კი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ნინო ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 2001 წლის ნოემბრიდან 2008 წლის ივნისამდე იყო. 2003 წლის ნოემბრიდან 2004 წლის იანვრამდე, ასევე, 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის იანვრამდე ბურჯანაძე საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა.

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ნინო ბურჯანაძე საარჩევნო ბლოკ „ბურჯანაძე - დემოკრატებს“ წარმოადგენდა და „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო. 2007 წლის ნოემბრის აქციების დროს პარლამენტის თავმჯდომარემ ქვეყნის პრეზიდენტს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა, თუმცა 2008 წლის აპრილში ბურჯანაძესა და მმართველ პარტიას შორის განხეთქილება მოხდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიაში ვერ მოხვდნენ ბურჯანაძის მიერ რეკომენდირებული კანდიდატები, რის გამოც პარლამენტის თავმჯდომარემ მმართველი პარტიის სიით არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

პარტია „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა“ 2008 წლის 23 ნოემბერს დაფუძნდა. ახალი პოლიტიკური ძალა 2009 წლის აპრილში და მისში საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. პარტიამ 2010 წლის თვითმართვლობის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ნინო ბურჯანაძე მესამე ადგილზე გავიდა და ამომრჩეველთა ხმების 10,18% მიიღო. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახა („ერთიანმა საქართველომ“ ამომრჩეველთა ხმების 3, 54% მიიღო).

პარტიის უმაღლესი თანამდებობის პირები თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და გენერალური მდივანი, გიგლა ბარამიძე არიან. „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა“ ამომრჩეველს სხვა ძირითადი ოპოზიციური პარტიებისგან განსხვავებულ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას სთავაზობს. პარტია აქცენტს უბლოკო სტატუსზე აკეთებს. პარტიის ლიდერის განცხადებით, საქართველო ნეიტრალური სტატუსის შემთხვევაში რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას მოახერხებს, ასევე შესაძლებელი იქნება სეპარატისტულ რეგიონებთან დიალოგის დაწყება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.



## 5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია

პოლიტიკური გაერთიანება „ნაციონალური მოძრაობა საქართველოს გადასარჩენად“ 2001 წლის ოქტომბერში დაფუძნდა. 2002 წლიდან ამ პოლიტიკური ძალის სახელწოდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა“.

პარტიის დამაარსებელი მიხეილ სააკაშვილი 1995 წელს „მოქალაქეთა კავშირის“ მანდატით საქართველოს პარლამენტში მოხვდა, 1995-98 წლებში საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო, 1998-1999 წლებში კი ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე. 1999 წელს სააკაშვილმა კვლავ მოიპოვა საქართველოს პარლამენტის დეპუტატის მანდატი, 2000 წლის 12 ოქტომბერს კი იუსტიციის მინისტრი გახდა. 2001 წლის სექტემბერში მიხეილ სააკაშვილმა მთავრობის რამდენიმე წევრი კორუფციაში დაადანაშაულა და თანამდებობიდან გადადგა. იმავე წელს დაფუძნებული „ნაციონალური მოძრაობა“ მოკლე პერიოდში ერთ-ერთ მთავარ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბდა.

2002 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის „ნაციონალური მოძრაობა“ რესპუბლიკელებთან და კონსერვატორებთან გაერთიანდა. ბლოკმა თბილისში ხმათა 24 % დააგროვა და მეორე ადგილზე გავიდა. პირველ ადგილზე გასულ ლეიბორისტებთან შეთანხმების შედეგად საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი მიხეილ სააკაშვილმა დაიკავა.

მიხეილ სააკაშვილის მოღვაწეობამ თბილისის საკრებულოში გაზარდა პარტიის პოპულარობა. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ხმების პარალელური დათვლის შედეგებით „ნაციონალური მოძრაობა“ პირველ ადგილს იკავებდა (ამომრჩეველთა ხმების 26,6%). თუმცა ცესკოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემი რადიკალურად განსხვავებული იყო ( ამ მონაცემებით პირველ მეორე ადგილს „მოქალაქეთა კავშირი“ და ასლან აბაშიძის „დემოკრატიული აღორძინების კავშირი“ იყოფდნენ). ნოემბრის საპროტესტო აქციები „ვარდების რევოლუციით“ და ედუარდ შევარდნაძის გადადგომით დასრულდა.

2004 წლის 4 იანვარს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილმა დამატარებელი გამარჯვება მოიპოვა. სააკაშვილს ხმა მილიონ 890 739 ამომრჩეველმა მისცა (96,24 %). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა 2003 წლის ნოემბრის მაჟორიტარული არჩევნების შედეგი, მაგრამ გააუქმა პროპორციული არჩევნების შედეგი. 2004 წლის მარტში პროპორციული სისტემით ჩატარებულ ხელახალ არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმათა 67 % მიიღო და

პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. სააკაშვილის პარტიასთან გაერთიანდა „ბურჯანაძე- დემოკრატების“ პოლიტიკური გუნდი, კონსერვატორებმა და რესპუბლიკელებმა კი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ თანამშრომლობა შეწყვიტეს. 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებში მმართველმა პარტიამ ქვეყნის მასშტაბით ხმათა დაახლოებით 60 % მიიღო და საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში უმრავლესობა მოიპოვა.

2007 წელს პარტია დატოვა რამდენიმე წევრმა, მათ შორის ირაკლი ოქრუაშვილმა. „ნოემბრის კრიზისის“ დროს, როდესაც ხელისუფლებამ ოპოზიციის წინააღმდეგ ძალა გამოიყენა და დამოუკიდებელი მედია საშუალებები დახურა, მიხეილ სააკაშვილი თანამდებობიდან გადადგა. 2008 წლის 5 იანვარს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილმა დაამარცხა ოპოზიციის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე. ( ცესკოს მონაცემებით მიხეილ სააკაშვილს ხმა ამომრჩეველთა 53, 47 % მისცა). იმავე წელს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმათა 59,18 % მიიღო და საკანონმდებლო ორგანოში კვლავ მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა.

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პირველი პერიოდი (2004-2007 წლები) ქვეყნისთვის წარმატებული იყო. გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები, რამდენჯერმე გაიზარდა ბიუჯეტი, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი დამყარდა. თუმცა სააკაშვილის ავტორიტარული მმართველობის სტილმა ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ხშირად ისმოდა ბრალდება, რომ ხელისუფლებამ თავიდან ვერ აიცილა რუსეთის მიერ დაგეგმილი პროვოკაცია. ომის შედეგად საქართველომ დაკარგა კონტროლი კოდორის ხეობაზე და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) დაახლოებით 40 პროცენტზე.

„ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ საზოგადოებაში არსებულმა ნეგატიურმა დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო ოპოზიციის გაერთიანებას. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილმა კოალიციამ დაამარცხა. „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში 85 მანდატი მოიპოვა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი 65. პირველად საქართველოს ისტორიაში ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა.

საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა საქართველო დატოვა. მის წინააღმდეგ პროკურატურამ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე აღძრა (2015 წელს სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობა მიიღო და საქართველოს მოქალაქეობა დაკარგა).

2013 წლის არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი მეშვიდე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იყო. ბაქრაძემ არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა ( 21,73%) და მნიშვნელოვნად ჩამორჩა „ქართული ოცნების“ კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს ( 62,12 %).

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მეორე ადგილი დაიკავა. „ნაციონალებმა“ პარლამენტში 27 მანდატი მიიღეს. „ქართულმა ოცნებამ“ კი 114. 2017 წელს სააკაშვილთან დაპირისპირების გამო პარტია დავით ბაქრაძემ, გიგა ბოკერიამ, გიგი უგულავამ და სხვა ლიდერებმა დატოვეს საკანონმდებლო ორგანოში „ნაციონალური მოძრაობის“ სიით გასულმა 19 დეპუტატმა ახალი ფრაქცია ჩამოაყალიბა.

2018 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საპრეზიდენტო კანდიდატად ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე დაასახელა. ვაშაძე ფორმალურად კოალიცია „ძალა ერთობაშიას“ კანდიდატი იყო ( ამ კოალიციაში „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად 12 დაბალი რეიტინგის მქონე პარტია შედიოდა). საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გრიგოლ ვაშაძემ ხმათა 37, 74 % დააგროვა, მეორე ტურში კი დაამარცხა დამოუკიდებელ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილთან, რომელსაც მხარს სახელისუფლებო პარტია უჭერდა (მეორე ტურში ვაშაძემ ხმათა 40, 48 % მიიღო, ზურაბიშვილმა კი 59,55 %). 2019 წლის 24 მარტს პარტიის მერვე ყრილობაზე გრიგოლ ვაშაძე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარედ აირჩიეს.





## 10. საქართველოს ლეიბორისტული პარტია

„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ მემარცხენე-ცენტრისტული პარტიაა, რომლის დამფუძნებელი და ლიდერი შალვა ნათელაშვილია. პროფესიით იურისტი ნათელაშვილი 1992-1999 წლებში საქართველოს მესამე და მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრი იყო (დუშეთის მაჟორიტარი). „ლეიბორისტული პარტია“ 1995 წელს დაარსდა. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ შვიდპროცენტის ბარიერი ვერ გადალახა, თუმცა პარლამენტში ორი მაჟორიტარის გაყვანა მოახერხა.

ყველაზე დიდ წარმატებას ლეიბორისტებმა 1998 და 2002 წლების თვითმმართველობის არჩევნებში მიაღწიეს. 2002 წელს თბილისში პარტიამ ხმათა 26 პროცენტი მიიღო და პირველი ადგილი დაიკავა, თუმცა ნათელაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარეობა მიხეილ სააკაშვილს დაუთმო (საკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებში მეორე ადგილზე გავიდა).

„ლეიბორისტულმა პარტიამ“ მხარი არ დაუჭირა „ვარდების რევოლუციას“. შედეგად პარტიამ დაკარგა პოპულარობა და მისი რიგები არაერთმა წევრმა დატოვა. 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტებმა ვერ შეძლეს საარჩევნო ბარიერის გადალახვა, თუმცა მაჟორიტარული სიით საკანონმდებლო ორგანოში სამი დეპუტატი გაიყვანეს.

„ლეიბორისტული პარტია“ აქტიურად მონაწილეობდა 2007 წლის ნოემბრის აქციებში. ხელისუფლების მიერ აქციის დაშლის შემდეგ შალვა ნათელაშვილს შპიონაჟისა და მთავრობის დამხობის მცდელობის ბრალდება წაუყენეს, თუმცა მოგვიანებით პროკურატურამ პოზიცია შეარბილა და განაცხადა, რომ პარტიის ლიდერი შპიონაჟის საქმეზე მონმის სახით იყო დაბარებული. ნათელაშვილმა მხარი არ დაუჭირა ოპოზიციური პარტიების ერთიან კანდიდატ ლევან განჩილაძეს და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა. ლეიბორისტური პარტიის ლიდერმა ამომრჩეველთა ხმების 6,49 % მიიღო და მეოთხე ადგილზე გავიდა.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტებმა 132 ათასზე მეტი ხმა მიიღეს (7,44 %) და საკანონმდებლო ორგანოში 6 მანდატი მოიპოვეს. არჩევნების შედეგების მიმართ უნდობლობის მოტივით ოპოზიციური პარტიების კოალიციამ საპარლამენტო მანდატებზე უარი თქვა. „ლეიბორისტული პარტიის“ წევრებს მანდატებზე უარი არ უთქვამთ, მაგრამ ოთხი წლის განმავლობაში არცერთ პლენარულ სხდომას არ დასწრებიან.

„ლეიბორისტული პარტია“ არ მონაწილეობდა „ქართული ოცნების“ მიერ ჩამოყალიბებული ოპოზიციური პარტიების ალიანსში, რადგან ბიძინა ივანიშვილმა ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ფარულ გარიგებაში დაადანაშაულა. 2013 წელს პარტია დატოვა რამდენიმე წევრმა, მათ შორის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა.

2012 და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ლეიბორისტებმა ვერ შეძლეს საარჩევნო ბარიერის გადალახვა. 2012 წელს პარტიამ ამომრჩეველთა ხმების 1,24 % მიიღო, 2016 წელს კი 3,14 %. 2013 წლის და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში შალვა ნათელაშვილი მეოთხე ადგილზე გავიდა (2012 წელს ხმათა 2,88 %, 2018 წელს 3,74 %).

„ლეიბორისტული პარტია“ საარჩევნო კამპანიის დროს ძირითადად აქცენტს სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკაზე აკეთებს. წინასწარჩვეთ პროგრამებში ხშირია პოპულისტური იდეები (მაგალითად, მოსახლეობისთვის საბჭოთა კავშირის დაშლის დროს დაკარგული საბანკო ანაბრების თანხების ანაზღაურება). ლეიბორისტული პარტიის მხარს უჭერენ უფასო ჯანდაცვას და განათლებას, კომუნალური გადასახადების შემცირებას, მოითხოვენ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების ნაციონალიზაციას.



## 21. თავისუფალი საქართველო

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველო“ დამფუძნებელი და ლიდერი კახა კუკავაა. პროფესიით იურისტი კუკავა 2004-2008 წლებში მეექვსე მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. საარჩევნო ბლოკ „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების“ პარტიულ სიაში კუკავა „კონსერვატიული პარტიის“ კვოტით მოხვდა. მოგვიანებით მან საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა და ოპოზიციაში გადავიდა. 2007 წელს კახა კუკავა ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარედ აირჩიეს.

2007-2009 წლებში კახა კუკავა ანტი სამთავრობო საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა. 2010 წელს ბლოკ „ეროვნული საბჭოს“ სიით თბილისის საკრებულოს წევრად აირჩიეს. ამავე წლის ბოლოს დაფუძნდა პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველო“. პარტიის ყრილობაზე თავმჯდომარედ კახა კუკავა აირჩიეს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „თავისუფალმა საქართველომ“ ხმათა 0,27 % მიიღო. 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში „თავისუფალი საქართველოსა“ და ახალი მემარჯვენეების“ ბლოკმა ხმათა 2,24 % დააგროვა. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პარტიის კანდიდატმა კახა კუკავამ მეშვიდე ადგილი დაიკავა (1, 33%).

„თავისუფალი საქართველო“ მემარცხენე პოლიტიკური ძალაა. პარტია მოითხოვს ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სექტორისთვის სახელმწიფო დაფინანსების გაზრდას, სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების დაფინანსებას, მონოპოლიებთან ბრძოლას. „თავისუფალი საქართველო“ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად საქართველოს თვითმყოფადობის დაცვას, ევროპულ ინტეგრაციას და რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას ასახელებს. პარტია საქართველოს ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ გამოდის.



## 24. ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები

პოლიტიკური პარტია „მოქალაქეების“ ბირთვი 2018 წელს ჩამოყალიბდა, როდესაც ალექსანდრე (ალეკო) ელისაშვილმა „სამოქალაქო მოძრაობა“ დააფუძნა. ალექო ელისაშვილი პოლიტიკური საქმიანობის დაწყებამდე მედიაში მუშაობდა. სხვადასხვა პერიოდში იყო „მეცხრე არხის“ საინფორმაციო სამსახურის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და „რადიო თავისუფლების“ კორესპონდენტი, მიჰყავდა თოქ-შოუ ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში. 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის აპრილამდე ელისაშვილს შეწყალების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის პოსტი ეკავა.

2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ალექო ელისაშვილმა, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, კენჭი საბურთალოს ოლქში იყარა და გაიმარჯვა. 2014-2017 წლებში იყო თბილისის საკრებულოს დეპუტატი. 2017 წლის ოქტომბერში ელისაშვილმა თვითმმართველობის ორგანო დემონსტრაციულად დატოვა. ამ გადაწყვეტილების მიზეზად მან ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის კომპანიისთვის თბილისში ორი მიწის ნაკვეთის გადაცემის ფაქტი დაასახელა. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ალექო ელისაშვილმა, როგორც თბილისის მერობის კანდიდატმა, მეორე ადგილი დაიკავა. დამოუკიდებელ კანდიდატს ხმა 69 803 ამომრჩეველმა მისცა (ხმათა 17,4 %).

ელისაშვილის პოლიტიკური პარტიის პრეზენტაცია 2020 წლის 4 აგვისტოს გაიმართა. პარტია „მოქალაქეების“ თანადამფუძნებელი იურისტი ლევან იოსელიანია, რომელიც 2019 წლის შუალედურ არჩევნებში კენჭს მთანმინდის მაჟორიტარულ ოლქში იყრიდა. პარტიის ლიდერის განცხადებით, „მოქალაქეებს“ კონკრეტული პოლიტიკური იდეოლოგია არ გააჩნია. პარტიის პრიორიტეტებია: განათლების სექტორი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ეკონომიკური და სოციალური სფერო.



## 26. პარტია სამართლიანობისთვის

პოლიტიკური პარტია „სამართლიანობისთვის“ 2019 წლის 20 ივნისს დაარსდა. მისი დამფუძნებლები საპარლამენტო უმრავლესობიდან წამოსული დეპუტატები: ეკა ბესელია, ზვიად კვაჭანტირაძე და გედევან ფოფხაძე იყვნენ. პარტიის პირველ ყრილობაზე თავმჯდომარედ ეკა ბესელია, გენერალურ მდივნად გედევან ფოფხაძე, პოლიტიკურ მდივნად კი ზვიად კვაჭანტირაძე აირჩიეს. მოგვიანებით ზვიად კვაჭანტირაძემ და გედევან ფოფხაძემ პარტია დატოვეს და ახალი პოლიტიკური გაერთიანების, „ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსის“ წევრები გახდნენ.

პარტიის ლიდერი ეკა ბესელია 1997-2012 წლებში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი იყო, 1998 წლებში დააფუძნა საადვოკატო კომპანია „ეკა და კომპანია“. 2008 წელს საარჩევნო ბლოკ „გაერთიანებული ოპოზიციის“ პარტიული სიით მეშვიდე მოწვევის პარლამენტში მოხვდა, თუმცა ოპოზიციონერ დეპუტატებთან ერთად მანდატზე უარი თქვა. 2012 წლიდან ბესელია მერვე და მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრია (საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“). 2019 წლის 22 თებერვალს ბესელიამ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა.

პარტია „სამართლიანობისთვის“ ცენტრისტული პოლიტიკური ძალაა, რომელიც ევროპულ კონსერვატიზმს ეფუძნება. პარტია მიზნად ისახავს ევროპული ტიპის, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას, საგარეო პრიორიტეტი კი საქართველოს ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაციაა.



## 27. სტრატეგია აღმაშენებელი

პოლიტიკური გაერთიანება „ახალი საქართველო“ 2016 წლის ივნისში დაფუძნდა. 2020 წლის ივლისში პარტიამ სახელი შეიცვალა და „სტრატეგია აღმაშენებელი“ ეწოდა. პარტიის ლიდერი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრი გიორგი ვაშაძეა.

გიორგი ვაშაძე 2006-2010 წლებში იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხელმძღვანელობდა, ჩართული იყო იუსტიციის სახლის პროექტის განხორციელებაში. 2010-2012 წლებში ვაშაძეს იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა. 2012 წელს გიორგი ვაშაძე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიით საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის დეპუტატი გახდა. 2016 წლის მაისში ვაშაძემ „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა და ახალი პოლიტიკური მოძრაობა შექმნა.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ახალი საქართველო“ „სახელმწიფო ხალხისთვის“ ბლოკში გაერთიანდა. ამ გაერთიანებამ ამომრჩეველთა ხმების 3,45 % პროცენტი მიიღო და საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახა.

„სტრატეგია აღმაშენებელი“ მემარჯვენე ცენტრისტული პარტიაა, აქტიურად უჭერს მხარს ქვეყნის ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანებას. პარტია უზენაეს და სააპელაციო სასამართლოში ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დიდი ბრიტანეთიდან მოწვეული მოსამართლეების დანიშვნის ინიციატივით გამოდის. „სტრატეგია აღმაშენებელი“ ანტი-მონოპოლიური საბანკო კანონმდებლობის შექმნის მომხრეა. პარტიის პროგრამის მიხედვით, ყველა ბიზნესი, რომლის ბრუნვა ერთ მილიონ ლარს არ აღემატება, დამატებული ღირებულების გადასახადისგან უნდა გათავისუფლდეს.



## 36. ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი

„ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი“ 2016 წელს „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილმა წევრებმა ჩამოაყალიბეს. პარტიის დამფუძნებლები პარლამენტის წევრები: ზურაბ ჭაფარიძე, პავლე კუბლაშვილი, გიორგი ხაჩიძე და გიორგი მელაძე არიან. პარტია ოფიციალურად 2016 წლის 18 მაისს დარეგისტრირდა. დამფუძნებლების განცხადებით, სახელი „გირჩი“ შეირჩა, როგორც განახლების სიმბოლო. პარტიის სიმბოლიკაზე გამოსახულია მწვანე გირჩი.

„გირჩის“ ლიდერი საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის (2012-2016 წლები) დეპუტატი ზურაბ ჭაფარიძეა. ჭაფარიძე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დატოვებამდე პარტიის აღმასრულებელი მდივანი იყო. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ახალი პოლიტიკური ძალის საპრეზიდენტო კანდიდატი სწორედ ზურაბ ჭაფარიძე გახდა. საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში „გირჩის“ კანდიდატმა 36 034 ხმა დააგროვა (2,26 %) და მეექვსე ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ ჭაფარიძემ საარჩევნო კამპანიის დროს საკუთარი საარჩევნო ბანერი პორნო საიტ pornohub-ზე განათავსა. ამ გადაწყვეტილების მიზეზად პარტიაში მწირი ბიუჯეტის ეფექტურად ხარჯვა დაასახელეს.

პოლიტიკური კამპანიის წარმოების ინოვაციური და გარკვეულწილად პროვოკაციული ხერხები პარტიის დამახასიათებელ ატრიბუტად იქცა. „გირჩი“ საქართველოში მარიხუანის ლეგალიზაციის მთავარი ინიციატორი იყო. პარტიის წევრებმა მარიხუანა დემონსტრაციულად საკუთარ ოფისშიც კი დარგეს. პარტიამ თბილისში ტაქსების რეგულაციის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო და რეგულაციის გვერდის ავლის მიზნით კომპანია „შმაქსი“ დააფუძნა. 2017 წლის აპრილში „გირჩმა“ რელიგიური ორგანიზაცია „ბიბლიური თავისუფლება“ დაარეგისტრირა. ორგანიზაცია ახალგაზრდებს სამხედრო სამსახურის გადავადებაში ეხმარებოდა, მღვდელთმსახურებად აკურთხებდა და შესაბამის მოწმობას გასცემდა.

„გირჩის“ პოლიტიკური იდეოლოგია კლასიკური ლიბერალიზმია. პარტია ემხრობა საქართველოს ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაციას, „მცირე მთავრობის“ და დაბალი გადასახადების იდეას. 2018 წლის ივნისში პარტიის ყრილობამ „გირჩის“ თავმჯდომარედ იურისტი იაგო ხვიჩია აირჩია.



## 41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

2011 წლის ოქტომბერში ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ პოლიტიკური პარტიის შექმნას და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავდა. პოლიტიკაში მოსვლის მიზეზად ივანიშვილმა ქვეყანაში არსებული ვითარება დაასახელა და მოქმედი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ავტორიტარიზმში დაადანაშაულა. ივანიშვილის განცხადებით, არჩევნებში მმართველი პოლიტიკური ძალის დასამარცხებლად ფართო ოპოზიციური გაერთიანების შექმნა იგეგმებოდა.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ 2011 წლის დეკემბერში დაფუძნდა. 2012 წლის თებერვალში ივანიშვილმა პარტიის საინიციატივო ჯგუფი დაასახელა და კოალიცია რამდენიმე პოლიტიკურ ძალასთან: „რესპუბლიკურ პარტიასთან“, „თავისუფალ დემოკრატებთან“ და „ეროვნულ ფორუმთან“ გააფორმა. მოგვიანებით კოალიციას კიდევ ერთი სუბიექტი - „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ შეუერთდა. პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 2012 წლის 21 აპრილს დაფუძნდა. ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ფინანსური აქტივების დიდი ნაწილი რუსეთში დააგროვა, მაშინდელმა ხელისუფლებამ „რუსულად ძალად“ გამოაცხადა. თუმცა



ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლის პირველი დღიდანვე აცხადებდა, რომ დასავლური კურსის, ნატოში ინტეგრაციის და ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობის მომხრეა. აღსანიშნავია, რომ ივანიშვილის კოალიციაში გამოკვეთილად დასავლური ორიენტაციის პოლიტიკური ძალები- რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები შევიდნენ.

2012 წლის პირველ ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ივანიშვილის კოალიციამ ამომრჩეველთა ხმების 54,9 % მიიღო (მილიონ 184 ათას 588 ხმა) და პირველ ადგილზე გავიდა. პროპორციული წესით ქართულმა ოცნებამ 44 მანდატი მოიპოვა. კოალიციის მაჟორიტარებმა უფრო მეტ ოლქში გაიმარჯვეს, ვიდრე „ნაციონალურმა მოძრაობის“ კანდიდატებმა. ქართულმა ოცნებამ პარლამენტში 41 მაჟორიტარი გაიყვანა, ნაციონალურმა მოძრაობამ კი 32. ჯამში ბიძინა ივანიშვილის კოალიცია პარლამენტში 150 მანდატიდან 85-ს აკონტროლებდა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მმართველი პარტია ხელისუფლებას არჩევნების შედეგად ჩამოშორდა.

პარლამენტის თავმჯდომარედ „ქართული ოცნების“ კოალიციის წევრი, „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აირჩიეს, ბიძინა ივანიშვილმა კი 2012 წლის 25 ოქტომბერს პრემიერ მინისტრის პოსტი დაიკავა. 2013 წლის 20 ნოემბერს ივანიშვილმა საკუთარი სურვილით დატოვა პრემიერ მინისტრის თანამდებობა. ყოფილმა პრემიერმა პოლიტიკიდან წასვლის მიზეზად სამოქალაქო სექტორის გაძლიერება დაასახელა. პრემიერ მინისტრად შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აირჩიეს.

„ქართული ოცნება“ მემარცხენე-ცენტრისტული მიმართულების პარტიაა, რომლის პრიორიტეტებად საშინაო პოლიტიკაში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება, უმუშევრობის შემცირება, ჯანდაცვის სისტემის რეფორმა და საყოველთაო დაზღვევა გამოცხადდა. პარტია დეკლარირებულად მხარს უჭერს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას და ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნებას. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ქართული ოცნება“ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების ინიციატივით გამოვიდა, თუმცა ამ მიმართულებით არანაირი პროგრესი არ შეინიშნება (ოფიციალური მოსკოვი ისევ აგრძელებს საქართველოს მიმართ აგრესიულ რიტორიკას და ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიის უკანონო „ბორდერიზაციას“).

ოპოზიციური კოალიცია, რომელიც ივანიშვილმა მიხეილ სააკაშვილის და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დასამარცხებლად შექმნა, ჯერ კიდევ მერვე მონვევის პარლამენტის (2012-2016 წლები) მუშაობის დროს დაიშალა. კოალიციაში შემავალი სუბიექტები („რესპუბლიკური პარტია“, „თავისუფალი დემოკრატები“) ოპოზიციაში გადავიდნენ. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართულმა ოცნებამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. პარტიამ ამომრჩეველთა ხმების 48, 67 % დააგროვა და 70 მაჟორიტარულ ოლქში გაიმარჯვა. მეცხრე მონვევის პარლამენტში 150 დეპუტატიდან 114 „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენდა.

ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც 2013-2015 წლებში მმართველი პარტიის თავმჯდომარეობასაც ითავსებდა, თანამდებობიდან 2015 წლის დეკემბერში გადადგა და პარტიულ საქმიანობასაც ჩამოშორდა. ქვეყნის ახალი პრემიერ მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ აირჩიეს. 2018 წლის ივნისში კვირიკაშვილმა დატოვა, როგორც პრემიერ მინისტრის, ასევე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტი. პარტიის თავმჯდომარე ისევ ბიძინა ივანიშვილი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი წლების განმავლობაში აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას არ ეწეოდა, მას ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც ქვეყნის „არაფორმალურ მმართველს“. გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მთავრობა უშუალოდ ივანიშვილთან შეთანხმებით იღებდა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილის (რომელიც ივანიშვილისადმი ლოიალურობას ბოლომდე ინარჩუნებდა), ასევე გიორგი კვირიკაშვილის გადადგომის მიზეზად ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი სახელდება. ივანიშვილმა თავად „ურჩია“ გადადგომა ღარიბაშვილს, კვირიკაშვილთან კი ღია კონფრონტაციაში შევიდა და მისი „ქართული ოცნებიდან“ მოკვეთის ინიციატორი გახდა. ივანიშვილი უკვე ორ წელიწადზე მეტია ინარჩუნებს პარტიის თავმჯდომარის პოსტს, თუმცა პოლიტიკურ პროცესში ღიად ჩართული არ არის. „ქართული ოცნების“ 2020 წლის საპარლამენტო სიაში მისი გვარი არ ფიგურირებს.





## 42. რეფორმატორები

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „რეფორმატორები“ საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი პარტიაა, რომელიც 2014 წლის აპრილში დაარსდა. პარტიის თავმჯდომარედ ირაკლი ლლონტი, გენერალურ მდივნად კი ზვიად გობეჯიშვილი აირჩიეს.

„რეფორმატორებმა“ მონაწილეობა მიიღეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, თუმცა პარტიამ საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახა. ამის შემდეგ პარტიაში ოთხწლიანი კრიზისი დაიწყო. 2019 წლის აპრილში გამართულ ყრილობაზე „რეფორმატორები“ ლიდერების უმრავლესობამ დატოვა. თავმჯდომარედ პოლიტსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე დავით მიროტაძე აირჩიეს, რომელმაც პარტიაში ახალი გუნდი მოიყვანა.

ორგანიზაციაში განხორციელებული ცვლილებები მეტნაკლებად შეეხო პარტიის პოლიტიკურ შეხედულებებსაც. „რეფორმატორები“ დეკლარირებულად წარმოადგენდა მემარჯვენე-ლიბერალურ პარტიას, ცვლილებების შემდეგ კი მემარჯვენე-ცენტრისტული გაერთიანება გახდა კონსერვატორული ელემენტებით. პარტიის მიზანია გახდეს „ევროპის კონსერვატორთა და რეფორმატორთა ალიანსის“ (AECR) წევრი.

პოლიტიკური გაერთიანება საპრეზიდენტო რესპუბლიკის მომხრეა და პრემიერ მინისტრის პოსტის გაუქმებას ითხოვს. ასევე გამოდის ინიციატივით დეპუტატების რაოდენობა პარლამენტში 150-დან 80-მდე შემცირდეს. „რეფორმატორების“ საარჩევნო პროგრამაში აღნიშნულია პოლიტიკურ პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდის აუცილებლობა. საგარეო პოლიტიკის კუთხით, „რეფორმატორები“ მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან პირდაპირი მოკავშირეობის გაძლიერებას და საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციას.



ლელო  
საპარლამენტო

## 56. ლელო საქართველოსთვის

„ლელო საქართველოსთვის“ დამფუძნებლები ბიზნესმენები მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე საბანკო სექტორში 1992 წლიდან საქმიანობენ. მათ მიერ დაარსებული „თიბისი ბანკი“ ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ბანკია, რომელიც 700 ათასამდე მომხმარებელს ემსახურება.

პოლიტიკაში მოსვლა მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ხელისუფლებასთან და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან, ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობა დაეძაბათ. 2019 წლის იანვარში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოაცხადა, რომ „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ე.წ. „ფულის გათეთრების“) ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს. საქართველოს მთავრობამ შეაჩერა მამუკა ხაზარაძის კიდევ ერთი პროექტი - ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის მშენებლობა. 2020 წლის იანვარში „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ მთავრობამ ხელშეკრულება შეუწყვიტა.

პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ 2019 წლის 22 დეკემბერს დაფუძნდა. გაერთიანებას ორი პოლიტიკური ძალა: „შენების მოძრაობა“ და „ახალი მემარჯვენეები“ შეუერთდა. „ლელოსთან“ გაერთიანების შემდეგ ორივე პარტიამ არსებობა შეწყვიტა. ახალი პოლიტიკური გაერთიანების თავმჯდომარედ მამუკა ხაზარაძე, გენერალურ მდივნად კი ბადრი ჯაფარიძე აირჩიეს.

პარტიის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარეა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. პოლიტსაბჭოს წევრები არიან კახა კოჭორიძე და ანა ნაცვლიშვილი. წინასაარჩევნო პერიოდში

„ლელოს“ კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსი შეუერთდა, მათ შორის, პარლამენტარი ლევან კობერიძე და „თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილი წევრი ლევან სამუშია.

„ლელო“ ცენტრისტული პოლიტიკური ძალაა. პარტიის პროგრამაში აღნიშნულია, რომ ბიზნესი უნდა იყოს მაქსიმალურად თავისუფალი სახელმწიფოს ჩარევისაგან. ამავე დროს პარტია ემხრობა ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას, მინიმალური ხელფასის დანესებას და მწვანე პოლიტიკას. პარტიის მიზანია „ლელო“ ე.წ. „მესამე ძალად“ ჩამოყალიბდეს, რომელსაც ამომრჩეველი „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი part მოძრაობის“ ალტერნატივად განიხილავს.

## დასართი 2: კითხვარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

გთხოვთ, უპასუხოთ თემატურად დაჯგუფებულ შეკითხვებს. თითოეული კითხვის პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ არ უპასუხოთ შეკითხვებს, რომლებზეც პარტიას ჯერჯერობით არ აქვს გამოკვეთილი მკაფიო პოზიცია ან, მისივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი არ საჭიროებს ცალკე პოლიტიკის გატარებას.

## COVID 19-ის პანდემიის შედეგებთან გამკლავება: ეკონომიკა და საზოგადოება

COVID 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური წესი. შემოთავაზებული შეკითხვებიდან რამდენიმე ეხება თქვენი პარტიის როგორც ეკონომიკურ, ისე ზოგად გეგმებს, მათ შორის, პანდემიის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად შემუშავებულ ღონისძიებებს:

1. როგორია თქვენი პარტიის გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა? რა არის პრიორიტეტული პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტულ ინიციატივებს სთავაზობთ ამომრჩეველს?

### ეკონომიკა 1

2. რა ზომების გატარებას აპირებთ როგორც შიდა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გასაზრდელად ქვეყანაში?

### ეკონომიკა 2

3. გეგმავთ თუ არა კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებას და მის განხორციელებას სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების გასაძლიერებლად? თუ ასეა, გაგვიზიარეთ ამ პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.

### ეკონომიკა 3

4. ისახავს თუ არა თქვენი პარტია მიზნად იმგვარი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ტურიზმის, მასთან დაკავშირებული სექტორებისა თუ დარგების თანადგომასა და გაძლიერებას გულისხმობს? თუ ასეა, რა პოლიტიკას გაატარებთ ტურიზმის სფეროს მხარდასაჭერად, მათ შორის მცირე (საოჯახო) და საშუალო ზომის ტურისტული მეურნეობებისთვის?

### ეკონომიკა 4

5. გეგმავთ თუ არა პანდემიის დროს დაწესებული საშელავათო სისტემის შეცვლას? თუ ასეა, როგორია თქვენი გეგმა

### სოციალური/ჯანდაცვა 1

6. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეებში?

### სოციალური/ჯანდაცვა 2

7. პანდემიამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის მხრივ, განსაკუთრებით იქ, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. როგორია თქვენი გეგმა ამ პრობლემების დასაძლევად, თუკი კვლავ საჭირო გახდება სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადატანა?

### სოციალური/ჯანდაცვა 3

8. მოკლედ აღწერეთ სხვა ზომები, რომელთა გატარებასაც გეგმავთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

### ნებისმიერი

#### პოლიტიკა და ეკონომიკა

1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?

#### პოლიტიკა 1

2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასაძლიერებლად?

#### პოლიტიკა 2

3. რა პოლიტიკას მიმართავთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველსაყოფად?

#### უფლებები 1

4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?

#### პოლიტიკა 3

5. რა გეგმები გაქვთ ზოგადად განათლების პოლიტიკის და კონკრეტულად დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის?

### სოციალური/ჯანდაცვა 4

6. გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს თქვენი ფისკალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები 2024 წელს.

#### ეკონომიკა 5

7. დაასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, თუკი ამ საკითხზე უკვე გაქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია.

#### ეკონომიკა 6

8. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ?

#### ეკონომიკა 7

9. გაქვთ თუ არა საჯარო სამსახურის შემდგომი განვითარების/რეფორმის გეგმა? რა არის მისი პრიორიტეტები?

### პოლიტიკა 4

#### საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები

1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?



## სოციალური/ჯანდაცვა 5

- რა ინიციატივებს (თუკი ასეთი გაქვთ) სთავაზობთ მოსახლეობას სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?

## სოციალური/ჯანდაცვა 6

- რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?

## უფლებები 2

- რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა (რელიგიური, ეროვნული, სექსუალური და სხვ.) უფლებების ეფექტური დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?

## უფლებები 3

- პარლამენტთაშორისი კავშირის (IPU) მონაცემებით, საქართველო 191 ქვეყანას შორის 144-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოში ქალი დეპუტატების რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც პოლიტიკაში ქალთა თანამონაწილეობის გაზრდა-გაფართოებას ეხება.

## უფლებები 4

- რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ და რას აპირებთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

## უფლებები 5

- როგორია თქვენი თვალსაზრისი ქვეყნის კულტურის პოლიტიკის შესახებ?

## სოციალური/ჯანდაცვა 7

- გთხოვთ დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

## ეკონომიკა 8

- აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას, რის შედეგადაც ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება გაუმჯობესდება?

## სოციალური/ჯანდაცვა 8

- შემუშავებული გაქვთ თუ არა პოლიტიკური პოზიცია, რათა ხელი შეუწყოთ სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას?

## პოლიტიკა 5

### საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები

- გთხოვთ განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. როგორ აპირებთ მათ რეალიზაციას?

### საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება 1

- რომელ ქვეყნებთან/ქვეყნების გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა თუ თანამშრომლობის დამყარებისა და განმტკიცებისთვის? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

### **საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება 2**

3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?

### **საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება 3**

4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

### **საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება 4**

#### **ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა**

1. თქვენი თვალთახედვით, როგორი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

### **საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება 5**

2. როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია?

### **საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება 6**

3. რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

### **საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება 7**

4. რა ნაბიჯებს გადადგამთ იმისთვის, რომ უკეთ დაიცვათ ქვეყანა „მცოცავი ოკუპაციისგან“?

### **საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება**





**EECMD**

აღმოსავლეთ ევროპის  
ცენტრი მრავალპარტიული  
დემოკრატიისათვის.